ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სწრაფი ჩარიცხვის ზოგიერთი აპარატი განახლებულ 5-ლარიანს არ იღებს




გვ.6

7 სექტემბრიდან




რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

შაბათი — კვირა, 9 — 10 სექტემბერი, 2017

№214 (7449)

ფასი: 50 თეთრი

# ტიმოშენკო სააკაშვილს უკრაინაში შესვლაში დაეხმარება



კრაკოვეცის სასაზღვრო პუნქტში მავთულხლართები გაავლეს

გვ.2

სააკაშვილი 10 სექტემბერს პოლონეთიდან უკრაინაში გეგმავს შესვლას. მასთან ერთად რამდენიმე ევროპარლამენტარი იქნება. მისი თანაპარტიელების და მომხრეების გარდა, საზღვარზე ჩასვლას გეგმავენ უკრაინის სხვა ოპოზიციური პარტიების და რადას წევრები.



„ჩვენ კონკურენტები ვართ, მაგრამ სააკაშვილს გვერდით დავუდგები"

## „იგეგმება ნაციონალების დაბრუნება ხელისუფლებაში"



გვ.4

ლევან ჩაჩუა: „რატომ ჰგონიათ, რომ ღარიბაშვილი გადაარჩენს ქვეყანას, არ ვიცი"




## პატრიოტთა ალიანსი აქციებს იწყებს

გვ.3

ირმა ინაშვილი: „რესპუბლიკელებთან და ბოკერიასთან ერთად არასდროს დავდგებით"

## როგორ ჩავაწყოთ ტენდერი



გვ.3

### საქართველომ კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მე-2 პოზიცია დაიკავა



გვ.6

ISSN 1987-9385

### უცხოური ინვესტიციები 5.5%-ით შემცირდა

გვ.5




ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი

გვ.5

### ნავთობპროდუქტების იმპორტი აგვისტოში შემცირდა

### საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 47.92%-ით გაიზარდა

გვ.6



### „სამომხმარებლო ტარიფში არ უნდა იყოს ისეთი ცვლილება, რომელიც მოსახლეობას ტვირთად დააწვება"




გვ.6

# ტიმოშენკო სააკაშვილს უკრაინაში შესვლაში დაეხმარება

## „ჩვენ კონკურენტები ვართ, მაგრამ სააკაშვილს გვერდით დავუდგები“



შორენა მარსაგიშვილი

10 სექტემბერს უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა იქნება. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კრაკოვეცის სასაზღვრო პუნქტიდან აპირებს უკრაინაში ჩასვლას. მის დასახვედრად იქ რამდენიმე დღის წინ მავთულხლართები გაავლეს.

8 სექტემბერს უკრაინის სასაზღვრო უწყებამ გაავრცელა განცხადება იმის შესახებ, რომ 10 სექტემბერს კრაკოვეცის გამშვებ პუნქტზე მედიის წარმომადგენლების მუშაობაზე შეზღუდვას დააწესებს.

ამის შესახებ უწყების პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

— იმის გათვალისწინებით, რომ 10 სექტემბერს ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და დეპუტატი კრაკოვეცის გამშვები პუნქტის სიახლოვეს მასობრივი აქციის ჩატარებას აანონსებს, ეს ქმნის კონფლიქტური სიტუაციის და სხვა პროვოკაციების წარმოქმნის დამატებით რისკებს, — აცხადებენ უწყებაში.

ამასთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლების მუშაობა შეზღუდული იქნება.

— ყველა კომენტარი აღნიშნულ საკითხზე შესაძლებელი იქნება საკონტროლო გამშვები პუნქტის სიახლოვეს, სადაც საკომუნიკაციო ტერიტორია იქნება გამოყოფილი, — ნათქვამია უკრაინის სასაზღვრო უწყების განცხადებაში.

უკრაინის საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, პოლონეთის მხარეც გეგმავს საზღვარზე მედიის მუშაობის შეზღუდვას.

სააკაშვილი 10 სექტემბერს პოლონეთიდან უკრაინაში გეგმავს შესვლას. მასთან ერთად რამდენიმე ევროპარლამენტარი იქნება. მისი თანაპარტიელების და მომხრეების გარდა, საზღვარზე ჩასვლას გეგმავენ უკრაინის სხვა ოპოზიციური პარტიების და რადას წევრები.



კრაკოვეცის სასაზღვრო პუნქტში მავთულხლართები გაავლეს

### უკრაინული ოპოზიცია სააკაშვილის გარშემო ერთიანდება?

სანამ უკრაინის სასაზღვრო უწყება კრაკოვეცთან საგანგებოდ ემზადებოდა, კიევში ახალი პოლიტიკური ცხოვრების დაწყებაზე საუბრობდნენ. უკრაინელი პოლიტიკოსები და ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილი ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინოს.

ამ ვერსიას პეტრო პოროშენკოს გუნდშიც იზიარებენ. რადას დეპუტატი პოროშენკოს ბლოკიდან მუსტაფა ნაემმი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის გარშემო ატეხილი ამბები ოპოზიციის გაერთიანებით დასრულდება.

ნაემმი ვარაუდობს, რომ თუ ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორს ქვეყანაში არ შეუშვებენ, ეს უკრაინის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს.

— ხელისუფლების გეგმების შესახებ მე არაფერი არ ვიცი. შესაძლოა, მათ არ სურდეთ სააკაშვილის ქვეყანაში შემოშვება. კანონის თვალსაზრისით სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა საფუძველმოკლებულია, იმავე მონაცემებით ან არ უნდა მიეცათ მოქალაქეობა ან თუ მისცეს, აღარ უნდა ჩამოერთმიათ. უკრაინის ხელისუფლებას ამ საკითხის მოგვარება ძალიან სწრაფად შეუძლია, საერთო ჯამში, ეს პრობლემა არც კი არსებობს. ის არც ტერორისტია, არც შეიარაღებული მებრძოლი და არც ნაციონალურ უსაფრთხოებას ემუქრება. ეს არის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებისთვის არასასურველ განცხადებებს აკეთებს, უფრო ხშირად კი პრეზიდენტთან დაკავშირებით. ნორმალურ ქვეყნებში ამას ოპოზიციური პოლიტიკა ჰქვია.

ხელისუფლების მხრიდან ამ ქმედებებს ჯერჯერობით რეალობისგან მსუბუქი გაქცევა ჰქვია. მაგრამ შევხედოთ, რას მოიმოქმედებს ის 10 სექტემბერს.

თუ საზღვარზე რაიმე სახის პროვოკაცია ან ძალადობრივი ქმედება მოხდება, ეს გადაჭარბებული იქნება, როგორც არ უნდა დამთავრდეს სააკაშვილის ირგვლივ სიტუაცია, ის ოპოზიციას ერთიანობისკენ უბიძგებს. სხვა ვარიანტს მე ვერ ვხედავ. საჭიროა ერთიანი ბლოკის შექმნა, სხვანაირად ყველას მოგვგუდავენ, — აცხადებს ნაემმი.

მუსტაფა ნაემმის ვარაუდები საფუძველს მოკლებული სულაც არ არის. 8 სექტემბერს სააკაშვილმა ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკრაინაში დაბრუნების შემდეგ ახალი ოპოზიციური ერთობის ჩამოყალიბებას აპირებს.

ახალ ერთობაში მის პარტიასთან ერთად „სამო პომოჩი“, „ბატკივშინა“ და თავდაცვის ექსმინისტრი ანატოლი გრიცენკო იქნებიან.

— ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთო პარტიას ვქმნით. რა თქმა უნდა, გვაქვს განსხვავებული შეხედულებები პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, მაგრამ როცა საუბარია უკრაინელი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე იმისთვის, რომ უსამართლობა შეჩერდეს, აუცილებელია, მთლიანმა პოლიტიკურმა სპექტრმა სოლიდარობის არეალი გააფართოოს, — აღნიშნა ნაპრეზიდენტალმა.

„ბატკივშინას“ ლიდერი იულია ტიმოშენკო სააკაშვილის მხარდასაჭერად პოლონეთში 8 სექტემბერს გაემგზავრა. გამგზავრებამდე კი მედიისთვის შემდეგი განცხადება გააკეთა:

— აუცილებლად დავუჭერ მხარს მიხეილ სააკაშვილს. 10 სექტემბერს იგი მშვიდობიანად მოსვლას და წერილის წარდგენას გეგმავს. დასაბუთებით, რომ მას აქვს უკრაინაში ცხოვრების უფლება. მაშინაც კი, თუ მას მოქალაქეობა ჩამოართვეს, სააკაშვილს აქვს უფლება, წავიდეს სასამართლოში და საქმე გაარკვიოს: სამართლიანად ჩამოართვეს თუ არა მოქალაქეობა. მე მსურს, ვიყო მის გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პოლიტიკური კონკურენტები ვართ.

სააკაშვილის გვერდით, შესაძლოა, უკრაინელი მილიარდერი ვიტალი კოლომოისკიც ვიხილოთ. ეს ის კოლომოისკია, რომელიც გასულ წელს უკრაინაში ჩვენებურის საწინააღმდეგო კამპანიას აქტიურად აფინანსებდა. ერთი შეხედვით, ისინი დაუძინებელი მტრები ჩანდნენ, თუმცა, როგორც პოლიტიკის მამები ამბობენ, ამ საქმეში მუდმივი მტრობა და მეგობრობა არ არსებობს. ეს კოლომოისკიმ და სააკაშვილმაც კარგად გაითავისეს და ერთმანეთს დაუტკბნენ.

„უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, 7 სექტემბერს ჟენევაში მიხეილ სააკაშვილის და იგორ კოლომოისკის შეხვედრა შედგა.

გამოცემის წყაროს ინფორმაციით, ყოფილმა მტრებმა ერთად ივახშმეს. შეხვედრის სხვა დეტალები უცნობია.

უკრაინული მედია ამ ფაქტზე მხოლოდ იმას წერს, რომ მათი გზები კვლავ გადაიკვეთა. კოლომოისკის სააკაშვილთან დაახლოება გასაკვირი არ იყო. მან საქართველოს ექსპრეზიდენტს მაშინაც გამოუცხადა მხარდაჭერა, როცა მას უკრაინის მოქალაქეობა წაართვეს

### შემდეგი გაჩერება საქართველო?

ოდესის ყოფილი გუბერნატორის დაბრუნებას თბილისშიც ელოდებიან. მისი მომხრეები ფიქრობენ, რომ უკრაინიდან ის საქართველოში დაბრუნდება. ოპოზიციის ერთი ნაწილი კი თვლის, რომ სააკაშვილის თემით „ქართული ოცნება“ ამომრჩეველთან ვაჭრობას აპირებს.

სხვათა შორის, სააკაშვილის დაბრუნება აქტიურად განიხილებოდა გასულ წელსაც. ის საქართველოში თითქოს საპარლამენტო არჩევნების დღეს უნდა ჩამოსულიყო. მაშინ ნაპრეზიდენტალმა ჩამოსვლა გადაიფიქრა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მას კარგად იცნობს და ამბობს, რომ სააკაშვილი უკრაინაში არ შევა.

— მე, როგორც ერთ ადამიანს, მოქალაქე არ არის, — განაცხადა ნამინისტრალმა.

თინა ხიდაშელი იმასაც ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის დაკავების სურვილი არასდროს ჰქონია.

— მე ამ ხელისუფლებაში ვიყავი და ალბათ ძალიან ბევრ რამეზე იმაზე მეტი ინფორმაცია მაქვს, ვიდრე რიგით ადამიანებს. არც ერთი დღე ამ ხელისუფლების პირველ პირებს, იმ ადამიანებს, ვინც მის პოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავდნენ, არ ჰქონიათ სურვილი მიხეილ სააკაშვილის რეალური პატიმრობის, — ამბობს ხიდაშელი.

ნაპრეზიდენტალის საქართველოში ექსტრადირებას არც პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ელოდება. მისი ღრმა რწმენით, სააკაშვილის ექსტრადირების თემის წამოწევა წინასაარჩევნოდ ხელისუფლების სპეკულაციას წარმოადგენს.

— თვითმმართველობის არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ჩამოყვანაზე საუბარი არის მხოლოდ სპეკულაცია და პოლიტიკური ქულების ჩაწერის მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, რომ შექმნას ემოცია მოსახლეობაში და შექმნას მოლოდინი, თითქოს სადღაც რაღაც ხდება, — განაცხადა ინაშვილმა

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ ოდესის ყოფილი გუბერნატორის არ მჯერა, რომ ის უკრაინაში შევა. სააკაშვილი სიმამაცით არ ხასიათდება და წარმოუდგენლად ავანტიურისტია. უკრაინაში, როგორც ჩანს, გარდაუვალად ელოდება პატიმრობა, — აღნიშნა ხიდაშელმა.

მას არც იმის სჯერა, რომ, დაპატიმრების შემთხვევაში, ნაპრეზიდენტალის საქართველოში ექსტრადირება მოხდება.

— როგორ უნდა მოხდეს ეს ექსტრადიცია, ცოტა რთულად წარმომიდგენია იმიტომ, რომ ის ამ ქვეყნის დაკავება არ სურს. ამბობს, რომ ამისთვის მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო.

— მე რომ ვყოფილიყავი ხელისუფლებაში, სააკაშვილს დიდი ხანია, ჩამოვიყვანდი საქართველოში, ზუსტად ისე, როგორც ფაშისტები იღვიძებდნენ იერუსალიმის სასამართლოში. ამის გაკეთებას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება, — მიაჩნია პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთ ლიდერს.

პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის ამბავს ოდნავ სხვანაირად უყურებს. ხელისუფლებას რომ მისი დაჭერის სურვილი არ აქვს, ამას ექს-სპიკერიც აღიარებს. ამასთან, ამბობს, რომ ნაპრეზიდენტალს კარგი პოლიტიკური ყნოსვა აქვს და მას თავისუფლად შეუძლია საქართველოში სიტუაციის არევა.

— მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სააკაშვილი პოლიტიკოსია, ის, რომ იგი პოლიტიკოსი არის და რომ პოლიტიკური ცხოველია, ეს სრულიად ნათელია. მას პოლიტიკური ყნოსვა აქვს. მას ძალიან კარგად ესმის დღეს, რომ მისი პოლიტიკური გადარჩენის ერთადერთი შანსი არის უკრაინაში ჩასვლა და, სხვათა შორის, თუ აქამდე მივა საქმე, საქართველოში ჩამოსვლა და ციხეში ჩაჯდომაც.

მე ვიცი მისი ხასიათი, ის პიროვნულად მშიშარაა, ამიტომ ვყოყმანობ, რამე კომენტარი და პროგნოზი გავაკეთო, თუ რას იზამს. მაგრამ მან დღეს იცის, რომ კუთხეში მიყენებულ მდგომარეობაშია, — განაცხადა გადაცემა „რეაქციაში“ ბურჯანაძემ.

თავად მიხეილ სააკაშვილი კი დარწმუნებულია, რომ საქართველო და უკრაინა მასთან დაკავშირებით ერთმანეთში შეთანხმდნენ.

— ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ პოროშენკოსა და ივანიშვილს შორის შეთანხმება არსებობს. ისინი ჯერ მაშანტაჟებენ და მაშინებენ. ამბობენ, რომ თუ უკრაინაში ჩავალ, ციხეში აღმოვჩნდები იმ ბრალდებებით, რომლებსაც არავინ ცნობს, — განაცხადა სააკაშვილმა ვარშავაში 8 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი აზრით, პეტრო პოროშენკომ გადაწყვიტა, პოლიტიკური ოპონენტი მოეშორებინა.

— მან გადაწყვიტა ჩემი დაჭერა და ივანიშვილისთვის ჩემი, როგორც მისი პერსონალური პატიმრის, გადაცემა. მე მათი არ მეშინია. მე მართალი ვარ, — ამბობს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი.

7 სექტემბერს უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის მთავარ პროკურატურას საქართველოდან გაგზავნილი მოთხოვნა გადასცა, რომლითაც საქართველო სააკაშვილის დაპატიმრებას და ექსტრადირებას ითხოვს.

მოთხოვნასთან ერთად გადაგზავნილია ის დოკუმენტები, რომლებითაც სააკაშვილზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

უკრაინამ უკვე ორჯერ – 2014-15 წლებში – საქართველოს სააკაშვილის ექსტრადირებაზე უარი უთხრა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# როგორ ჩავანწყოთ ტენდერი

გულიკო ბალაძე



**უფლებადამცველი და სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს წევრი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობას“ უხსნის, თუ როგორ ხდება მერიის და გამგეობების მიერ ტენდერების გაყალბება.**

– თბილისის მერიის სამსახურებში, საკრებულოში, თვითმმართველობებში მუშაობს დანაშაულებრივი სქემები. ამჯერად საუბარია როგორც ქალაქის ინფრასტრუქტურულ, ასევე კვების ტენდერებზე გამგეობებში, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

***– ბატონო მამუკა, ამჯერად კორუფციის რა ახალი ფაქტები გაქვთ?***

– ქალაქის თვითმმართველობაში არის კორუფციის ბუდე და მოქმედებს დანაშაულებრივი სქემები.

***– კერძოდ?***

– კერძოდ, საუბარია, როგორც ქალაქის ინფრასტრუქტურულ ტენდერებზე, ასევე კვების ტენდერების ჩატარებისას მოქმედ დანაშაულებრივ სქემებზე.

***– რა სქემებია?***

– ტენდერები გამგეობებში ტარდება და დანაშაულებრივი სქემებიც მათი მეშვეობით ხორციელდება. გამგეობები არაკვალიფიციური უფუნქციო სტრუქტურაა. სოფლის თემს უფრო მეტი ფუნქცია აქვს და ადგილზე რაღაცას წყვეტს, ვიდრე, ვთქვათ, გლდანის რაიონის გამგეობა ან ვაკის რაიონის გამგეობა.

დაახლოებით 1 მილიარდიანი ბიუჯეტიდან, რაც თბილისს გააჩნდა, დაახლოებით 40%-ზე მეტი იხარჯება ტენდერებზე.

ტენდერების პირობებს მერია აყენებს. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შედის ქალაქის ხელმძღვანელობა და გამგეობების ხელმძღვანელები. ორი ძირითადი ტენდერი ტარდება (სადაც ყველაზე მეტი ფული იხარჯება). ერთი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და მეორე – ბავშვთა ბაღებისა და სოციალურად დაუცველთა კვებისთვის. უმრავლესობა ტენდერისა ჩაწყობილია.

***– როგორ არის ჩაწყობილი?***

– ტენდერების ჩაწყობა ხდება შემსყიდველ გამგეობებში, ანუ თბილისის მერიასა და რაიონულ გამგეობებში. ყველგან რაიონის გამგებელი და თბილისის მერი არის სატენდერო კომისიის წევრი.

მაგალითად, კონკრეტულ პირს აქვს კომპანია, რომელიც გზებს აგებს და აწესრიგებს ინფრასტრუქტურას, წყლის გაყვანილობასა და ა.შ. სატენდერო კომისია აყენებს პირობებს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის კომპანია, რომ მოიგოს, ვთქვათ, 1 მილიონი ლარი გლდანში, სადღაც ქერჩის ქუჩაზე გზის დაგების ტენდერი.

ჩამონათვალია, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ მათ მიერ წამოყენებულ პირობებს წინასწარ შერჩეულ კომპანიას არგებენ.

***– გზების დაგებისთვის რას ითხოვენ?***

– საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების დასკვნას ხარისხიანობასთან დაკავშირებით. ამ დასკვნის გაკეთებას სჭირდება სამი თვე, ხოლო ტენდერს სულ 1 თვით აცხადებენ.

საერთაშორისო აუდიტორის ჩართვა ხდება იმისთვის, რომ თითქოს უფრო ხარისხიანად კეთდება საქმე. ამ დროს შენ წინასწარ იცი, ხვალ ტენდერი რომ ტარდება, რა დოკუმენტს ითხოვენ. მე კი არ ვიცი. სამი თვე მოვუნდი ერთი დოკუმენტის გაკეთებას, შენ უკვე გაკეთებული გაქვს და ტენდერი მომიგე.

***– ვადა არ არის მითითებული?***

– წერია, რომ გამოცხადებიდან 1 თვეში ტენდერი ტარდება, 1-თვიან ვადაში ვერ ეტევი. ეს არის გაყალბების ერთი გზა.

მეორე – ვთქვათ, სატენდერო პირობებში წერია, რომ ფირმას უნდა ჰქონდეს 10 მლნ ლარის ბრუნვა. მე შეიძლება 2-მილიონიანი ბრუნვა მაქვს, მაგრამ გზის დაგება კარგად ვიცი. ტექნიკაც კარგი მაქვს და ყველაფერი, მაგრამ არა, მე ხომ არ მაქვს 10 მილიონი. ერთ-ერთ ტენდერში ჩაწერეს, ფირმას უნდა ჰქონდეს 11 მილიონ 328 ლარიო.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ფირმას, რომელსაც აგებინებდნენ ტენდერს, ზუსტად 11 მილიონ 328 ლარი ჰქონდა.

***– 11 მილიონ 320 ათასი რომ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა?***

– ზუსტად 11 მლნ 328 ათასი ლარი ჰქონდა და არ შეიძლებოდა. იმდენად „დურაკულად“ აკეთებენ, რამდენიც უთხრეს, ზუსტად გადაიტანა.

მესამე კრიტერიუმი, თუ როგორ ხდება მერიის და გამგეობების მიერ ტენდერების გაყალბება. მაგალითად, მოითხოვენ (და სწორიც არის), რომ უნდა გყავდეს გზის დამგები მანქანა, „კატოკი“ და სხვა ტექნიკა, მაგრამ გეუბნებიან, ჩინური კი არა, იაპონური უნდა იყოსო.

***– ვინ დაადგინა, რომ მაინცდამაინც ჩინური უნდა იყოს?***

– კომისიამ, მერისა და გამგებლის ხელმძღვანელობით.

***– კონკრეტული ტენდერის გამოცხადების დროს კონკრეტულ პირობებს ადგენენ?***

– დიახ. მე ვეუბნები, დიდი ხანია ბაზარზე ვარ და მაქვს ტექნიკა, მაგრამ ჩემი მოგება რომ არ უნდა ქალაქის ხელმძღვანელობას, უნდა შენ მოგაგებინოს და შენ გყავს ვთქვათ, კორეული „კატოკი“, პირობებში წერს, რომ „კატოკი“ უნდა იყოს კორეული. სანამ მე კორეიდან „კატოკს“ ჩამოვიყვან, ტენდერი დამთავრდება.

***– ამგვარად ჩატარებული ტენდერებით და ჩაწყობებით მერსა და გამგეობებს რა მოგება აქვთ?***

– მოგება როგორ არ აქვთ, „ატკატებია“. მოგებული ფირმები მათი ბიძაშვილების არის. ორი მოგება აქვთ, ბიძაშვილებს ფულს აკეთებინებენ და თვითონაც ფულს შოულობენ „ატკატებით“. მე სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს წევრი ვარ და ჩვენთან მოდის საჩივრები. მათ პირობებს ვერ დავაკმაყოფილებდი, რადგან 1 თვეში ვერ შევძლებდი, კორეიდან „კატოკი“ ჩამომეყვანაო.

***– ხშირად მსმენია, რომ ისეთ კომპანიებს აგებინებენ ტენდერებს, რომლებსაც ფულის ბრუნვა, საერთოდ, არ აქვთ.***

– პირდაპირ ნულოვანი კომპანიებისთვის ტენდერის მიცემა არ ხდება. თუმცა, ბიძაშვილის კომპანია რომ იგებს ჩაწყობილ ტენდერს, მერე კიდევ მეორე ბიძაშვილიც ხომ ჰყავს. სატენდერო პირობებში წერია, რომ ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომ შეუძლია, აიყვანოს ქვეკონტრაქტორი. ქვეკონტრაქტორის მიმართ სატენდერო კომისიას არანაირი მოთხოვნები არ აქვს. გზის სამშენებლო კომპანიამ, რომელსაც მოაგებინეს ტენდერი, შეიძლება ქვეკონტრაქტორად აიყვანოს იურიდიული კომპანია და მთელი ეს ფული გაივლის იმ იურიდიული კომპანიის ხელში. ქვეკონტრაქტორი ააშენებს იმ გზას. ტენდერს უგებ შენ, შემდეგ ნულოვანი ბრუნვის ქვეკონტრაქტორს გადასცემ. ისიც შენი ფირმაა.

***– ხომ ხდება შემოწმება და დადგენა, კონკრეტული გზის გასაკეთებლად რამდენი ლარია საჭირო, რა სამუშაო შესრულდა და რა სჭირდებოდა შესრულებას, „ატკატებისთვის“ ფული საიდან რჩება?***

– ვთქვათ, კონკრეტული გზის გაკეთებას 1 მილიონი სჭირდებოდა. სამუშაო შესრულდა, მაგრამ ტენდერი მოგებულია მილიონნახევრად, ორ მილიონად.

***– თუ იმდენია გამოყოფილი, რამდენიც სჭირდებოდა, „ატკატისთვის“ ფული საიდანღა რჩება?***

– ფული სამუშაოებისთვის ასე ზუსტად არ არის გამოყოფილი. მე რასაც გეუბნებით, ყველაფრის მტკიცებულება მაქვს. მილიონიანი ტენდერია გამოცხადებული, იგებ 900 ათასად, სინამდვილეში კი საქმის გაკეთება 300 ათასზე მეტი არ ღირს.

***– ფურცლებზე მაინც არ წერენ?***

– ფურცლებზე იწერება, რომ 10 ლარი გადავიხადე რაღაც ნაწილში, სინამდვილეში კი 3 ლარი გადავიხადე, მაგრამ 10 ლარის გადახდაზე საბუთი ავიღე.

***– კვების ტენდერებში რა ხდება?***

– უფრო უარესი მდგომარეობაა კვების ტენდერებში. თბილისის მერიის ბაგების სააგენტო საშინელ, უხარისხო პროდუქციას ყიდულობს. ამ მიმართულებით ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აქაც ჩაწყობებია. ქართული კვების ტენდერების ბაზარზე 5 კომპანია დომინირებს.

***– რომელი კომპანიებია?***

– „ელფი“, „ნილი“, „მჯპროდუქტი“, „ალადაშვილი და კომპანია“ და „ილი“. ეს ეხება ჯარისკაცებისა და პატიმრების კვებას თუ ბავშვთა კვებას და სოციალურად დაუცველებს. სოციალურად დაუცველებზე 3 წლის წინ 1 ბენეფიციარზე ლარი და 18 თეთრი დადგინდა 1 ადამიანის დღიური კვება. წარმოუდგენელია, 1,18 თეთრი ადამიანს დღეში ეყოს, როცა მხოლოდ 1 პური 70 თეთრი ღირს. ჩამონათვალში ხორცი და რა არ არის.

ბლეფია. გაფორმებულია ძალიან ბევრი ადამიანი (ვთქვათ, 800-მდე) და თითქოს დადის საკვების მისაღებად სასადილოებში, სინამდვილეში 200 დადის. ამის კონტროლი არ ხდება. სინამდვილეში მართლა 200 კაცია გაჭირვებული. ხომ შეიძლება იმ ადამიანებს 2 ლარისა და 50 თეთრის საჭმელი ვაჭამოთ და სხვები ტყუილად არ იყვნენ სიებში. კომპანიაც მოგებაში დარჩება. კომპანია იძულებულია, იმაიმუნოს და ბიუჯეტის ფული მოიპაროს. თუმცა, კომპანიამ რომ მოიპაროს, ჯერ იმის უფლება უნდა მოიპოვოს.

***– ანუ?***

– ანუ ტენდერი უნდა მოიგოს. აქაც ჩაწყობით ხდება. აქაც ჩემ მიერ ჩამოთვლილი 5 კომპანია ერთმანეთთან არის კომუნიკაციაში და მოილაპარაკებენ, ამ ტენდერისთვის მე შევიტან განაცხადს და მოვიგებ, შენ არ შეიტანო. დოკუმენტი გახსენით, ნაძალადევი ერთ კომპანიას აქვს მოგებული, გლდანი მეორეს აქვს მოგებული, ვაკე – მესამეს.

***– ერთ კომპანიას შეუძლია მთელი თბილისის კვების საკითხი გადაწყვიტოს?***

– შეუძლია. ხუთივე ძლიერი კომპანიაა. სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კონკურენცია იყოს და ბიუჯეტმა რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადოს და მეტი სარგებელი მიიღოს. აქ პირიქით ხდება, ბიუჯეტი მეტს იხდის, ხალხს კი ნაკლები სარგებელი აქვს.

***– ე.ი. ამ კომპანიებს გაყოფილი აქვთ ბაზარი, ერთმანეთს ხელს არ უშლიან და აწყობილი აქვთ საქმე.***

– ამაში ხელს უწყობენ ქალაქის თვითმმართველობა, ქალაქის მერია, გამგეობები.

# პატრიოტთა ალიანსი აქციებს იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

**ქარიშხალი ირმა საქართველოსაც მოუახლოვდა. ოღონდ აქ ქარიშხალს პოლიტიკური ხასიათი ექნება. ერთ კვირაში, 17 სექტემბერს, პატრიოტთა ალიანსი თბილისში საპროტესტო აქციებს იწყებს.**

ეს აქცია ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში დააანონსეს. ეტყობა, მათმა ინიციატივამ სხვა პარტიებსაც აუშალა საღერღელი და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციამ მოისურვა დედაქალაქში მიტინგის მოწყობა.

მოსახლეობაში გაჩნდა განცდა, რომ ისინი ალიანსთან ერთად აპირებენ ქუჩაში გამოსვლას. ამასთან დაკავშირებით პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი არავისთან არ აპირებენ გაერთიანებას.

– 17 სექტემბრიდან საქართველოს პატრიოტთა ალიანსი იწყებს საპროტესტო აქციებს. ამ საპროტესტო აქციების ორგანიზატორია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და არა რომელიმე სხვა ოპოზიციური პარტია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ვხედავთ მცდელობას, კონკრეტულად ჩვენი პარტიის მიერ ორგანიზებულ ამ აქციასთან



## ირმა ინაშვილი: „რესპუბლიკელებთან და ბოკერიასთან ერთად არასდროს დავდგებით“

მოხდეს ყველა დანარჩენი ოპოზიციური პარტიის დაკავშირება. მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის ორივე ფრთის დაკავშირება: ბოკერიას ფრთის და გოცირიძის ფრთის, რაც ტყუილია და არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა ინაშვილმა.

მისი თქმით, ბოკერიასთან პატრიოტთა ალიანსის დაკავშირება თუნდაც იმის გამო არის დაუშვებელი, რომ:

– ჩვენი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მოთხოვნა უკავშირდება ბოკერიას მიმართ არსებული კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების დაძვრას გაყინული ადგილიდან.

ირმა ინაშვილი შეწუხებულია ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული სიუჟეტის გამო. ის განსაკუთრებით იმის გამოა აღშფოთებული, რომ მათთან რესპუბლიკური პარტია დააკავშირეს. ამ პარტიას პატრიოტთა ალიანსი ისე უყურებს, როგორც ემზარ კვიციანი გიგა ბოკერიას.

– ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში ვიხილეთ სიუჟეტი, სადაც 17 სექტემბრის აქციის ორგანიზატორად მიბმული იყო მთელი ნაცშემადგენლობა, რესპუბლიკური პარტია, რიგი სხვა პარტიები, რომლებთანაც არათუ საპროტესტო აქციას არ გავმართავთ, არამედ საერთოდ არ ვაპირებთ არანაირ პოლიტიკურ თანამშრომლობას და კომუნიკაციას, საჯაროს თუ ფარულს, – ამბობს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

ის აქციებდანატრებულ პარტიებს სათანადო რჩევასაც აძლევს და ხელისუფლების პიარშიკების მზაკვრულ ჩანაფიქრსაც შიფრავს.

– თუ ვინმეს საპროტესტო აქციის ჩატარება სურს, ჩაატაროს ჩვენ გარეშე, ჩვენთან მოკერების გარეშე, მაგრამ 17 სექტემბრის აქციას ხელისუფლების პიარ-მრჩევლები მიზანმიმართულად აბამენ სხვა ოპოზიციურ პარტიებს, რასაც სინამდვილეში ორი განუხორციელებელი მიზანი აქვს: 1. ხალხმა იფიქროს, რომ ჩვენ გვერდით იდგება ნაცმოძრაობა და ბოკერია, რაც აბსურდი და ტყუილია და 2. დასავლეთმა იფიქროს, რომ არა ერთი კონკრეტული პარტია, არამედ რამდენიმე პარტია უწევს ორგანიზებას ამ მასობრივ აქციებს.

აფიქრებინოს დასავლეთს, რომ ის დიდი ტალღა, რომელიც, სავარაუდოდ, აქციის მონაწილე იქნება, არა პატრიოტთა ალიანსის მოწოდებითაა გამოსული, არამედ სრულიად ოპოზიციური სპექტრის მიერაა მოხმობილი და ამით საერთაშორისო პარტნიორებს აჩვენოს, რომ თითქოს ნაცმოძრაობას და მის რამდენიმე განაყოფს მოსახლეობაში ისევ აქვს გარკვეული მხარდაჭერა, რაც გამიზნულია არჩევნების შედეგების წინასწარ გაყალბებისკენ, – აცხადებს ირმა ინაშვილი.

მისი თქმით, ალიანსის აქცია 17 სექტემბერს 16.00 საათზე დაიწყება. ალიანსელები ამ აქციაზე რამდენიმე საკითხის გაპროტესტებას აპირებენ.

– ჩვენ უნდა გავაპროტესტოთ: კონსტიტუციაზე ძალადობა, რომლითაც რბილი დიქტატურა მყარდება ქვეყანაში და აზრს კარგავს არჩევნები! ერთად გავაპროტესტოთ ის, რომ ქართული მიწა მაინც გაიყიდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე! ერთად გავაპროტესტოთ იმ ჩანაწერის გაქრობა კონსტიტუციიდან, რომლის თანახმადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულება აქვს ყოველ მოქალაქეს!

# „იგეგმება ნაციონალების დაბრუნება ხელისუფლებაში“

მარიამ მჭედლიშვილი



## ლევან ჩაჩუა: „რატომ ჰგონიათ, რომ ღარიბაშვილი გადაარჩენს ქვეყანას, არ ვიცი“

**მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა" ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის" ლიდერ ლევან ჩაჩუას**

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ფაქტობრივად, ორპარტიულს უწოდებდნენ. შეიცვალა ამ მხრივ რაიმე მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების წინ?***

– პირველ რიგში, თვალშისაცემია ბიძინა ივანიშვილის ჩაჩოჩება. მეათე თვეა, მას განცხადებაც კი არ გაუკეთებია. ბიძინა ივანიშვილის დადუმება ემთხვევა დონალდ ტრამპის მოსვლას აშშ-ის ხელისუფლებაში.

***– ადრეც გითქვამთ, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ კლინტონის სასარგებლოდ და ტრამპის საწინააღმდეგოდ აქტიურობდნენ. ასე იქცეოდა უკრაინის პრეზიდენტიც, თუმცა მას ტრამპთან შეხვედრაც ჰქონდა.***

– პოროშენკო ქვეყნის ლიდერია და, პოლიტიკური ეტიკეტიდან გამომდინარე, მისი შეხვედრა გასაკვირი არ არის. ბიძინა ივანიშვილი, პრაქტიკულად, გაუჩინარებულია. მას ჩამორთმეული აქვს მართვის ძირითადი სადავეები. თუ ერევა, მხოლოდ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნესი, ნაწილობრივ – ეკონომიკა და დაბალ დონეზე საკადრო გადაწყვეტილებები. თანამდებობიდან ივანიშვილი ჯერ კიდევ 2013 წელს წავიდა, თუმცა შემდეგ პროცესებში მონაწილეობდა და ხელისუფლებას აკონტროლებდა. ბოლო დროს ის თითქმის აღარაფერში ერევა. ეს 2012 წელსვე იყო ჩაფიქრებული. „ოცნება“ მოგვიანებით ისევ ნაცმოძრაობას უნდა ჩაენაცვლებინა.

***– ვინ მართავს ამ ყველაფერს?***

– საგარეო ძალები. ივანიშვილმა თავისი ფუნქცია შეასრულა. ქვეყანას მართავენ სხვები აშშ-ის საელჩოს მეშვეობით. მათი მიზანია ნაცმოძრაობის დაბრუნება ხელისუფლებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იმის გენერალური რეპეტიციაა, რაც მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე უნდა მოხდეს.

***– მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება ვითომ რეალურია?***

– გეგმის მიხედვით, ყოფილი და მოქმედი ნაციონალები უნდა დაბრუნდნენ. პარტიების დასახელებებს მნიშვნელობა არა აქვს. ნაციონალური მოძრაობის გარდა, არიან მისგან გამოყოფილი ძალები, „ევროპული საქართველოთი“ და გირჩით დაწყებული, ვაშაძის პარტიით დამთავრებული. „ქართული ოცნება“ სავსეა პორტირებული ნაციონალებით.

***– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები უმრავლესობების შექმნას მოახერხებენ ბევრ საკრებულოში?***

– მთელი მუშაობა აქეთკენ არის მიმართული. ერთად უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც 9 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სულს ხდიდნენ საქართველოს. ახლა ისინი გადანაწილებულები და ვითომ დაშლილები არიან. სინამდვილეში, ერთი მიზანი აქვთ – ძალაუფლების დაბრუნება. მათთან არიან „ოცნებაში“ მოკალათებული ნაციონალები. ამ გეგმის გამო ჩვენ, „ქართულმა იდეამ“, უარი ვთქვით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე, ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ და ბოიკოტისკენ სხვა ნამდვილ ოპოზიციასაც მოვუწოდეთ.

***– ამ არჩევნებში ბევრი პარტია მონაწილეობს.***

– ზოგიერთი მათგანი ნაციონალებთან არის გარიგებული. ვინც ნაცქოცურ შეთქმულებაში არ მონაწილეობს და მაინც ჩართულია ამ თამაშში, ის მოტყუებულია. ამ პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ გამოიყენებენ და გამოწურული ლიმონივით მოისვრიან.

***– რომელი გარე ძალები ეხმარებიან ნაცმოძრაობას?***

– ლიბერალური ინტერნაციონალი, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით ისევ აქტიურია, თუმცა მისი აღსასრული მოდის. ტრამპის ადმინისტრაციას ჯერჯერობით მოწინააღმდეგეები არ აძლევენ თავისუფლად მოქმედების საშუალებას. საქართველოში გადაწყვეტილებებს ლიბერალური ინტერნაციონალი იღებს. არჩევნების შედეგებსაც ის ადგენს.

***– დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო და ნაციონალებთან დაპირისპირებული საზოგადოების ნაწილს სჯერა, რომ მალე ბიძინა ივანიშვილის თანხმობით დაბრუნდება ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ეროვნულ ძალებს შემოიკრებს.***

– რატომ ჰგონიათ, რომ ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილი გადაარჩენს ქვეყანას, არ ვიცი. კოაბიტაცია მის დროს დაიწყო. 30.000 სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნაცმოძრაობის რეჟიმის დანაშაულებს ეხება და უნდა გადასინჯულიყო პროკურატურაში, არ გადასინჯულა. ღარიბაშვილის დროს მიიღო მაშინდელმა პარლამენტმა დისკრიმინაციული კანონი, რომლის წინააღმდეგ პირადად პატრიარქი სამჯერ გამოვიდა. უწმინდესის მოსაზრება არ შეისმინეს და დააკანონეს უკანონობა. ღარიბაშვილი დისკრიმინაციულ კანონს მხარს უჭერდა. კაზანტიპის ბილწი ფესტივალი ღარიბაშვილის დროს გაიმართა. ამ ფესტივალთან და მის ერთ-ერთ ორგანიზატორ სიგუასთან შეკრული იყვნენ ღარიბაშვილის ცოლისძმები. მისმა კახურმა კლანმა გააპარტახა ქვეყანა.

თუ ღარიბაშვილი გამოჩნდა, ის გააკეთებს იმას, რასაც სხვები ეტყვიან. ეროვნულ ძალებს ის ვერ შემოიკრებს. ღარიბაშვილის რეიტინგის ასაწევად შეიძლება ამბები მოიგონონ, როგორც ეს 2012 წელს მოხდა. მაშინ ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგორი დაპირისპირებულია ღარიბაშვილი ხიდაშელთან. მოგვიანებით ამბობდნენ, რომ ღარიბაშვილი ხიდაშელთან კონფლიქტს შეეწირა. არადა, მთავრობაში ღარიბაშვილი მშვენივრად თანამშრომლობდა ხიდაშელთან. ორივე მარიონეტი იყო და არცერთ მათგანს არავინ არაფერს ეკითხებოდა.

***– ნაცმოძრაობის დაბრუნებას ვერავინ შეეწინააღმდეგება?***

– ამას შეძლებენ ის ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ სააკაშვილს და რომლებიც ვერ იყიდა ივანიშვილმა. ხელისუფლებაში უნდა იყვნენ არა მარიონეტები, არამედ, ერის ინტერესების გამტარებელი პატიოსანი ადამიანები. ჩვენ ამერიკასთანაც უნდა გავაგრძელოთ მჭიდრო ურთიერთობა და ევროკავშირთანაც, უნდა დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან.

***– ციანიდის საქმეზე განაჩენი გამოტანილია, საზოგადოებამ კი ბევრი რამ ვერ გაიგო. სატელევიზიო ტოკ-შოუებში საუბარია იმაზე, რომ ამის გამო ეკლესიამ მრევლი დაკარგა.***

– არ ვუყურებ იმ ტელევიზიებს, რომლებიც ანტიეკლესიურ განწყობას აღვივებენ. დეზინფორმაციის მოსმენა აუცილებელი არ არის. როგორ შეიძლება, რწმენა შეარყიოს რომელიმე სკანდალმა! ციანიდის საქმე იმიტომ დაიწყო, რომ მომხდარიყო ეკლესიის დისკრედიტაცია. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ციანიდის საქმეს ფარდას ავხდით. პირობითად, თუ 12.000 სასულიერო პირიდან 2-3 ულირსი გამოერევა, ეს რწმენას ვერ შეასუსტებს. მართლმადიდებელი ეკლესია ერის გამაერთიანებლის როლს ასრულებდა მაშინაც კი, როცა ქვეყანა სამთავროებად იყო დაყოფილი. პატრიარქის სიტყვებით, ეკლესია იყო, არის და იქნება სული ქართველი ერისა.

# გიორგი გახარია: „საქართველოს აქვს კარიბჭის როლი“

„ევროპა-აზიის ინტეგრირებული სატრანსპორტო კორიდორი“, – ამ სახელწოდების რიგით მეორე მაღალი დონის, საერთაშორისო სატრანსპორტო კონფერენცია გაიმართა უკრაინის ქალაქ ოდესაში. ქართულ დელეგაციას უკრაინაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია ხელმძღვანელობდა.



კონფერენციის მიზანი ევროპისა და აზიის მიმართულებით სატრანსპორტო კავშირების კონკურენტული უპირატესობების შექმნა იყო.

ღონისძიება უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გროისმანმა გახსნა. კონფერენციაზე სიტყვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია გამოვიდა.

გიორგი გახარიას განცხადებით, მაღალი დონის ფორუმის მსჯელობის ძირითადი თემა იყო სატრანზიტო დერეფნები, კავშირი ქვეყნებსა და მათ ეკონომიკებს შორის. ფორუმზე აგრეთვე ისაუბრეს იმ კორიდორზე, რომელიც ჩინეთის დიდ ბაზარს ევროკავშირის დიდ ბაზართან დააკავშირებს.

საერთაშორისო სატრანსპორტო კონფერენციაში მონაწილეობა საქართველოსა და უკრაინასთან ერთად, რუმინეთის, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, პოლონეთის, ლიტვის, ჩინეთის სამთავრობო დელეგაციებმა და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ღონისძიებაში საქართველოს მხრიდან სამთავრობო დელეგაციის გარდა, საქართველოს რკინიგზის, ბათუმის პორტისა და ბათუმის საკონტეინერო ტერმინალის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფორუმის ფარგლებში პრეზენტაცია გამართა „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელმა მამუკა ბახტაძემ.

– ეს ჩვენი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ჩვენ აქ ვიმსჯელეთ საქართველოს როლზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ამას ყველა მხარე ეთანხმება. საქართველოს აქვს კარიბჭის როლი, რომელსაც შეუძლია აღმოსავლეთის და დასავლეთის, ასევე, სამხრეთის და ჩრდილოეთის კორიდორებზე შეასრულოს პრინციპულად მნიშვნელოვანი ფუნქცია. ამიტომ ვართ ჩვენ ყოველთვის წარმოდგენილი მსგავს ფორუმებზე და ვცდილობთ, მაქსიმალურად დავაკონვერტიროთ ეს კონკრეტულ შედეგებში, ისეთ შედეგებში, როგორიც არის ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი რკინიგზა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და ა.შ., – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

კონფერენციის ფარგლებში, უკრაინის პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით, პლენარული სხდომა გაიმართა. სხდომის თემები ევროპისა და აზიის ინტეგრირებული სატრანსპორტო დერეფნების განვითარების მიზნით მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკის ჰარმონიზაცია და ევროპა-აზიის მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადების ფორმირება იყო.

# გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა წარადგინეს



პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა წარადგინა.

მექვაბიშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მთავარი ბანკირია.

ირაკლი კობახიძე დარწმუნებულია, რომ პარლამენტი გენერალური აუდიტორის პოსტზე ირაკლი მექვაბიშვილს ნდობას გამოუცხადებს.

როგორც მან გენერალური აუდიტორის კანდიდატურის წარდგენისას განაცხადა, შესაბამისი კენჭისყრა საკანონმდებლო ორგანოში მომდევნო პლენარულ სხდომაზე გაიმართება.

– როგორც მოგეხსენებათ, გენერალური აუდიტორის კანდიდატურის წარდგენა არის პარლამენტის თავმჯდომარის ექსკლუზიური პრეროგატივა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად. მე მინდა ვისარგებლო ამ პრეროგატივით და წარმოგიდგინოთ ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა. ბატონ ირაკლის ფინანსურ ინსტიტუტებში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

მე მქონდა მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩემი მუშაობის პერიოდში. ირაკლი მექვაბიშვილი მუშაობდა როგორც საჯარო, ისე კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ფინანსურ ინსტიტუტებში მრავალი წლის განმავლობაში. წლების განმავლობაში ის იყო ეროვნული ბანკის თანამშრომელი, ეკავა მაღალი პოზიციები კომერციულ სექტორში, კომერციულ ბანკებში და დღემდე ის გახლავთ EBRD-ის ასოცირებული დირექტორი. მე მინდა წარმატებები ვუსურვო ბატონ ირაკლის. როგორც მოგეხსენებათ, პარლამენტის პრეროგატივაა გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე გამწესება და მომდევნო პლენარულ სხდომაზე ჩატარდება კენჭისყრა. მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ნდობას გამოუცხადებს ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურას, – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, მან მადლობა გადაუხადა აუდიტის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ სწორედ ლაშა თორდიას მუშაობის პერიოდში ჩამოყალიბდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური რეალურად დამოუკიდებელ, კონსტიტუციურ ორგანოდ.

– როგორც მოგეხსენებათ, გენერალურ აუდიტორს ლაშა თორდიას ამოეწურა უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა. მე მინდა, მას მადლობა გადავუხადო გაწეული მუშაობისთვის. მისი მუშაობის პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოახერხა ჩამოყალიბებულიყო რეალურად დამოუკიდებელ, კონსტიტუციურ ორგანოდ და კიდევ ერთხელ, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ბატონ ლაშა თორდიას გაწეული მუშაობისთვის, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ვის არ შეეხება „საჯარო დაწესებულებაში ანაზღაურების შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციები?

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, „საჯარო დაწესებულებაში ანაზღაურების შესახებ“ კანონპროექტი რიგ პრობლემურ საკითხებს შეიცავს.

კანონპროექტი საბიუჯეტო დაწესებულებებში, როგორც თანამდებობრივი სარგოს, ასევე დანამატებისა და პრემიების საკითხის მოწესრიგებას ითვალისწინებს და ახლებურად განსაზღვრავს საჯარო სამსახურში ანაზღაურების წესსა და ოდენობას.

– საიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაში გათვალისწინებული ერთიანი და თანასწორი ანაზღაურების სისტემის შექმნას და არსებული არათანაბარი მიდგომების აღმოფხვრას. კანონპროექტის მიხედვით, განსხვავებული ანაზღაურების სქემები და კოეფიციენტები მოქმედებს ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო სამსახურებისათვის, ასევე დიფერენცირებული მიდგომა არსებობს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეების ანაზღაურებებს შორის. გარდა ამისა, ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურება განისაზღვრება განსხვავებული წესით, რაც ვერ უზრუნველყოფს ანაზღაურების ერთიანი სისტემის მინიმალური სტანდარტის შექმნას.

საია მიიჩნევს, რომ „საჯარო დაწესებულებაში ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს ყველა საჯარო დაწესებულებაზე და თავად კანონმა უნდა დაადგინოს ანაზღაურების საგამონაკლისო წესი კონკრეტული საჯარო დაწესებულებების ან მოსამსახურეებისათვის, რასაც წარმოდგენილი პროექტი ვერ უზრუნველყოფს. კანონპროექტის თანახმად, მისი მოქმედება არ ვრცელდება შესაბამის უწყებებში დასაქმებული სამხედრო და სპეციალური წოდების მოსამსახურეებზე, პროკურატურის მუშაკებზე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მოსამსახურეებზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებსა და საერთო სასამართლოს მოსამართლეებზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე, გარდა მისი გამგეობის აპარატის მოსამსახურისა; საზოგადოებრივი მაუწყებლის მოსამსახურეებზე.

წინამდებარე დასკვნა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგო, სახელფასო და საკლასო დანამატი; ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ანაზღაურების წესი და ოდენობა; სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურების წესი და ოდენობა; კერძო სექტორთან კონკურენციის დაძლევის შესაძლებლობა და ანაზღაურების ახალი სისტემის ამოქმედების წესი, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ამასთან, კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზის შედეგად, „საიამ“ საჯარო სამსახურის ბიუროს შემდეგი რეკომენდაციები წარუდგინა:



ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საჯარო მოხელეთა ანაზღაურება განისაზღვროს ერთი და იმავე კოეფიციენტების სისტემის საფუძველზე; გაუქმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების ანაზღაურების კოეფიციენტებს შორის განსხვავება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს შესაძლებლობა თანაბრად გამოიყენოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის შექმნილი ანაზღაურების ცხრილი, მისი შესაძლებლობის ფარგლებში და არ მოხდეს დამატებითი ფინანსური ბარიერების დაწესება;

განისაზღვროს საჯარო მოხელის მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად ანაზღაურებისათვის განსაზღვრული კატეგორიების მინიჭების წესი და კრიტერიუმები, რათა აღნიშნული საკითხი არ დარჩეს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის დისკრეციულ უფლებამოსილებაში; გაიზარდოს საკლასო დანამატის პროცენტული ოდენობა (1 კლასი დაიწყოს სულ მცირე 5%-დან), რათა უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა შორის მოტივაციის გაზრდა; განისაზღვროს ერთჯერადად გაცემული სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობა თანამდებობრივი სარგოს თვიური ოდენობის 10%-დან 30%-მდე; ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს არ ჰქონდეთ სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს მიღების უფლება; გაუქმდეს ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ანაზღაურების განსაზღვრის საგამონაკლისო წესი; გათანაბრდეს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების იდენტური სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სარგოების კოეფიციენტები;

სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებს არ ჰქოდეთ უფლება მიიღონ სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო; დეტალურად განისაზღვროს კერძო სექტორთან კონკურენციის მუხლი და განისაზღვროს სფეროები, სადაც საქართველოს მთავრობას ექნება უფლება განსაზღვროს თანამდებობათა ჩამონათვალი; სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურების სისტემა ამოქმედდეს კანონის ამოქმედებასთან ერთად და არა საგამონაკლისო წესით 2021 წლის 1 იანვრიდან; ანაზღაურების ახალი სისტემის ამოქმედებამ არ გამოიწვიოს საჯარო მოსამსახურეთა არსებული ანაზღაურების შემცირება.

# ნავთობპროდუქტების იმპორტი აგვისტოში შემცირდა




2017 წლის აგვისტოში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 100,1 ათასი ტონა, რაც 19,3 ათასი ტონით ნაკლებია ივლისის თვის მაჩვენებელთან შედარებით. ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, 2017 წლის აგვისტოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 57,1 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 43,0 ათასი ტონა.

– საწვავის კატეგორიების მიხედვით 2017 წლის აგვისტოში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: ც-91 რეგულარი მარკის ბენზინი – 41,3 ათასი ტონა ანუ 72,3%; ც-95 პრემიუმი მარკის ბენზინი – 15,2 ათასი ტონა ანუ 25,5%, ც-98 სუპერი მარკის ბენზინი – 1,3 ათასი ტონა ანუ 2,2%, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) – 43,0 ათასი ტონა ანუ 100,0%, L-62 და DT დიზელის საწვავის იმპორტი აგვისტოში არ განხორციელებულა.

ქვეყნების მიხედვით 2017 წლის აგვისტოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან – 34,0 ათასი ტონა (მთელი იმპორტის 33,9%), ბულგარეთიდან – 20,1 ათასი ტონა (20,0%), რუსეთიდან – 18,2 ათასი ტონა (18,2%), აზერბაიჯანიდან – 11,6 ათასი ტონა (11,5%), თურქმენეთიდან – 8,5 ათასი ტონა (8,4%), საბერძნეთიდან – 6,5 ათასი ტონა (6,4%), უკრაინიდან – 1,7 ათასი ტონა (1,6%) და სხვ.

2017 წლის აგვისტოში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 14,1 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რაც 0,3 ათასი ტონით აღემატება ივლისის თვის მაჩვენებელს. აქედან უმეტესი წილი – 93,5 % განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკიდან.

2017 წლის აგვისტოში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 1,7 ათასი ტონა, რაც 0,3 ათასი ტონით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით. ქვეყნების მიხედვით 2017 წლის აგვისტოში საცხებ-საპოხი მასალების ყველაზე დიდი იმპორტი განხორციელდა ირანიდან – 341,5 ტონა, გერმანიიდან – 274,2 ტონა, თურქეთიდან – 262,7 ტონა, რუსეთიდან – 246,5 ტონა.

2017 წლის აგვისტოში საქართველოში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 10,4 ათასი ტონა, რაც 4,5 ათასი ტონით ნაკლებია ივლისის თვის მაჩვენებელთან შედარებით. ქვეყნების მიხედვით 2017 წლის აგვისტოში საავიაციო ნავთის ყველაზე დიდი იმპორტი განხორციელდა თურქმენეთიდან – 7,5 ტონა, საბერძნეთიდან – 1,6 ტონა, აზერბაიჯანიდან – 1,1 ტონა.

2017 წლის აგვისტოში საქართველოში თხევადი აირის (LPG) იმპორტმა შეადგინა 3,3 ათასი ტონა, რაც 1,2 ათასი ტონით მეტია ივლისის თვის მაჩვენებელთან შედარებით, – აღნიშნულია განცხადებაში.

# კომუნიკაციების ეროვნული კომისია „კავკასუს ონლაინის“ წინააღმდეგ „თიბისი ბანკის“ საჩივარს იხილავს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინის“ წინააღმდეგ სს „თიბისი ბანკის“ საჩივარი წარმოებაში მიიღო.

როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისია იუწყება, „თიბისი ბანკი“ სადავოდ ხდის „კავკასუს ონლაინის“ მიერ ფიზიკურ პირზე შემდეგ ინტერნეტ დომენების გაცემის ფაქტს: mytbc.ge, mytbcbank.ge, itbc.ge, itbcbank.ge.

„სს „თიბისი ბანკი“ საჩივარში მიუთითებს, რომ ბანკს დაუკავშირდა მოქალაქე და ზემოაღნიშნული ინტერნეტ დომენების მიყიდვა შესთავაზა. საჩივრის ავტორის განცხადებით, სს „თიბისი ბანკი“ საქპატენტში დარეგისტრირებულ განსაკუთრებულ უფლებას ფლობს შემდეგ სასაქონლე ნიშნების სიტყვიერ ნაწილებზე: TBC BANK და TBC, შესაბამისად, ბანკს აქვს სრული უფლება აუკრძალოს ნებისმიერ მესამე

პირს ამ სიტყვათა იდენტური ან/და მსგავსი სიტყვების გამოყენება.

საჩივარში ასევე, აღნიშნულია, რომ „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არავის აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათაწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული ლიცენზიის გარეშე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.




სს „თიბისი ბანკი“ ითხოვს, კომისიამ დაავალოს შპს „კავკასუს ონლაინს“ შემდეგი ინტერნეტ დომენების – mytbc.ge, mytbcbank.ge, itbc.ge, itbcbank.ge რეგისტრაციის გააუქმება, ხოლო აღნიშნული დომენების მფლობელი მოქალაქე ცნოს საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევად.

# ლადო პაპავა ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურაზე — კარგი რეკომენდაციაა



– ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში შემთხვევით ხალხს არ ასაქმებენ – ეს უკვე თავისთავად კარგი რეკომენდაციაა, – ასე აფასებს აკადემიკოსი ლადო პაპავა გენერალური აუდიტორის პოსტზე ირაკლი მექვაბიშვილის წარდგენას, რომელიც EBRD-ის მთავარი ბანკირია.

მისივე თქმით, სრულიად მისასალმებელია, თუკი „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე დამოუკიდებელი პიროვნება იყოს წარდგენილი.

– მე პირადად ირაკლი მექვაბიშვილს არ ვიცნობ. არც რაიმე მსმენია მის შესახებ, მაგრამ ის, რომ გარკვეული საქმიანობით დაკავშირებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, ეს, რა თქმა უნდა, დადებითია. მინდა წარმატება და პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან მაქსიმალური დამოუკიდებლობა ვუსურვო. რამდენად შესძლებს საქმისთვის თავის გართმევას, ამას აჩვენებს – ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფია ქართულ სამთავრობო სტრუქტურებში ახლა იწერება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ლადო პაპავამ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გენერალური აუდიტორის პოსტზე ირაკლი მექვაბიშვილი დღეს წარადგინა.

ამასთან, საპარლამენტო კულუარებში მექვაბიშვილის კანდიდატურა უშუალოდ პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურად სახელდება. როგორც კერძო საუბრებში აღნიშნავენ, ისინი ერთად ჯერ გაერთიანებულ ქართულ ბანკში მუშაობდნენ და შემდგომაც საბანკო სისტემაში დიდი ხნის ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ.




# უცხოური ინვესტიციები 5.5%-ით შემცირდა

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წლის II კვარტალში 346.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 14.3%-ით ნაკლებია.

როგორც საქსტატი იუწყება, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 751.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 5.5%-ით ნაკლებია.

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2017 წლის II კვარტალის მიხედვით (მლნ აშშ დოლარი) განხორციელდა, აზერბაიჯანიდან, ნიდერლანდებიდან, თურქეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, ჩეხეთიდან, პანამიდან, ლუქსემბურგიდან, აშშ-დან, ჩინეთიდან და ა.შ.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკის სექტორების მიხედვით, საქსტატის ინფორმაციით, სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2017 წლის II კვარტალში 66.3 % შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 130.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 70.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – სასტუმროების და რესტორნების სექტორი 29.3 მლნ აშშ დოლარით.

– წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე), რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად. 2017 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2018 წლის 15 აგვისტოს, – აცხადებენ საქსტატში.

# „სამომხმარებლო ტარიფში არ უნდა იყოს ისეთი ცვლილება, რომელიც მოსახლეობას ტვირთად დააწვება“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი გია არაბიძე ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის მკვეთრ ცვლილებას არ ელოდება. საქმის კურსს არაბიძემ განუცხადა, რომ ამ ვარაუდის საფუძველს მას კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა და ეროვნული ვალუტის კურსის ამ ეტაპზე არსებული მერყეობა აძლევს.

— ლარისა და დოლარის ამ ეტაპზე არსებული მიმართება თუ შენარჩუნდა, სამომხმარებლო ტარიფის სერიოზული ცვლილება არ უნდა მოხდეს. ამის წინაპირობა დღეს არ ჩანს. შეიძლება, რომელიმე მდგენელმა კომპონენტებმა მოიმატონ, ან მოიკლონ, მაგრამ სამომხმარებლო ტარიფში არ უნდა იყოს ისეთი ცვლილება, რომელიც მოსახლეობას ტვირთად დააწვება. ბუნებრივია, მე აქ მხედველობაში არ მაქვს კახეთის ენერგოსისტემა, სადაც სერიოზული ინვესტიციებია ჩასადები იმისთვის, რომ ეს სისტემა ფეხზე დადგეს, — განმარტა არაბიძემ.




წინასწარ პროგნოზებს არც გადაწყვეტილების მიმღები — სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა აკეთებს. მისი განმარტებით, სამომხმარებლო ტარიფის დადგენამდე მარეგულირებელმა კომისიამ ტარიფის დაახლოებით ოცამდე კომპონენტი უნდა დაითვალოს, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და ამისთვის სემეკს 150 დღე აქვს.

— სამომხმარებლო ტარიფი მრავალი კომპონენტისგან შედგება. პირველი და ყველაზე რთული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასია. მაგალითად, ენერგო პრო-ჯორჯია ელექტროენერგიას გენერაციის 54 ობიექტისგან ყიდულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სათითაოდ უნდა შევაფასოთ ეს კონტრაქტები, ასევე უნდა დადგინდეს იმ გენერაციის ობიექტებისთვის ტარიფი, რომელთაც წესით უდგინდებათ. მეორე კომპონენტი გახლავთ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის კომპონენტი და მესამე — განაწილების ტარიფი, — განაცხადა ირინა მილორავამ სემეკის სხდომის შემდეგ.

გაძვირდება თუ არა ელექტროენერგია და წყალი მომხმარებლებისთვის, ამის შესახებ წინასწარ ვერც კერძო სექტორი საუბრობს, თუმცა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ოპერაციების მენეჯერი მამუკა კიკალიშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, რომ კომპანიის საინვესტიციო გეგმა მიმდინარე წლის ბოლომდე 85 მილიონი ლარის ფარგლებშია, რაც საკმაოდ მასშტაბურია. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო კომპონენტი ტარიფის გაანგარიშებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საკმაოდ ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩაატარა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“. დაახლოებით 200 ქუჩის რეაბილიტაცია გვქონდა დაგეგმილი, მათ შორის — პეკინის გამზირის. ასევე დაგეგმილი გვაქვს ინფრასტრუქტურული ელემენტების გამოცვლა. ტარიფი იქნება შესაბამისი — გაიზრდება თუ შემცირება, ამას მე ვერ გეტყვით, — განმარტა კიკალიშვილმა.

ანალოგიური პოზიცია აქვს ენერგო პრო-ჯორჯიას წარმომადგენელს ილია მათიაშვილს.

— ინვესტიციები ყველა მიმართულებით ხორციელდება, თუმცა გაზრდა მოხდება თუ შემცირება, ეს ხანგრძლივი პროცესია, შესაბამისად, ამ ეტაპზე გამიჭირდება რაიმეს თქმა. ჩვენი განაცხადი არის სტანდარტული. უამრავი დოკუმენტია წარმოდგენილი, — აღნიშნა მან.

სემეკმა ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის ტარიფების დასადგენად ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით, ეს არის ყოველწლიური, გეგმური პროცედურა. ახალი ტარიფები „ენერგო პრო-ჯორჯიას“ აბონენტებისა და მისი ჰესებისთვის, ასევე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის, მცხეთის წყლის“, „რუსთავის წყლისა“ და გენერაციის კიდევ რამდენიმე ობიექტისთვის 31 დეკემბრამდე გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ სემეკმა ადმინისტრაციული წარმოება „თელასის“ სატარიფო განაცხადზე მიმდინარე წლის 18 აგვისტოს დაიწყო. ახალი ტარიფები 2018 წლიდან შევა ძალაში და სამი წლის განმავლობაში უცვლელად დარჩება, თუ ისეთ ფორსმაჟორულ მოვლენებს არ ექნება ადგილი, როგორც ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურებაა.

# საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 47.92%-ით გაიზარდა




საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 47.92%-ით, ხოლო საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთის მოცულობა 21.23%-ით არის გაზრდილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტების მიერ, რეგულარული და ჩარტერული რეისების შედეგად გადაყვანილ იქნა 2.703.117 მგზავრი, რაც 47.92%-ით (875.724 მგზავრით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემს (1.827.393 მგზავრი).

მგზავრთნაკადის ზრდის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტში:

2017 წლის 8 თვის განმავლობაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 620.682 მგზავრით მეტს მოემსახურა (სულ 2.071.720 მგზავრი), ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში (1.451.038 მგზავრი). შესაბამისად მგზავრთნაკადის ზრდის მაჩვენებელმა 42.78% შეადგინა. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 82.59%-ით არის გაზრდილი. თუ წინა წლის 8 თვეში აეროპორტი 154 966 მგზავრს მოემსახურა, მიმდინარე წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 282 945 მგზავრი შეადგინა — 127 979 მგზავრით მეტი.

გასული თვეების განმავლობაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 342.264 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 56.36% ით (123.366 მგზავრით) მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (218.898 მგზავრი).

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში 4.933 მგზავრს მოემსახურა, რაც 2.442 მგზავრით, შესაბამისად 98.03%-ით მეტია ვიდრე გასული წლის პირველ 8 თვეს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (2 491). ამბროლაურის აეროპორტმა წელს პირველად მიიღო მგზავრები და იანვრის შუა რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე 1.255 მგზავრს მოემსახურა.

მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში 3.859-ით მეტი რეისი განხორციელდა. მონაცემები ასე გამოიყურება: სამგზავრო და სატვირთო რეისების რაოდენობა სულ — 13 708, აქედან რეგულარული რეისების რაოდენობაა 11.388, ხოლო ჩარტერების 2.320. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული რეისების რაოდენობასთან შედარებით, ზრდა 39.18%-ს შეადგენს.

15.00%-ით იმატა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებელმა. 2016 წლის 8 თვიან პერიოდში ერთეული გადაფრენების რაოდენობა იყო 83.196, მიმდინარე წლის განვლილ თვეებში კი საქართველოს საჰაერო სივრცეში 95.677 ერთეული გადაფრენა დაფიქსირდა.

მიმდინარე წლის 8 თვის მონაცემებით, ზრდა დაფიქსირდა სატვირთო გადაზიდვების კუთხითაც. საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 23.182. 669 ტონა შეადგინა, რაც 4.060.25 ტონით, შესაბამისად, 21.23%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს გადაზიდული ტვირთის ოდენობა.

# საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ხიდის მშენებლობა 2018 წლის აპრილში დასრულდება



— მომავალი წლის ზაფხულის სეზონს ტურისტები ქობულეთის შემოვლითი გზის ახალი მონაკვეთით შეხვდებიან.

ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძემ „კომერსანტს“ განუცხადა.

ქობულეთის ზღვისპირა ზოლის განტვირთვისთვის, ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა გრძელდება. პირველი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა და ამ ეტაპზე, მეორე — 18-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს.

ქობულეთის შემოვლითი გზის მე-2 მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში სულ 15 ხიდი აიგება. მათ შორის არის ხიდები რომელთა მშენებლობაც, ახალი MSS ტექნოლოგიით — ბურჯებზე მოძრავი სისტემის ყალიბის გამოყენებით ხორციელდება. ახალი ტექნოლოგიით მიმდინარეობს სოფელ საჩინოსთან, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი სახიდე გადასასვლელის — ვიადუკის მშენებლობა.

სეთურიძის ინფორმაციით, 1.200 მეტრიანი ხიდის მშენებლობა მომავალი წლის აპრილში დასრულდება.

— ქობულეთის შემოვლითი გზის მეორე მონაკვეთზე ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს, სადაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი 1.200 მეტრიანი ხიდი შენდება. მისი მშენებლობა აპრილში დასრულდება და მომავალი წლის ზაფხულის სეზონზე, ტურისტები გზის ამ ახალ მონაკვეთზე გადაადგილებას შეძლებენ. აღნიშნული ხიდის საშუალებით და ორი გვირაბით, პირდაპირ ჩაქვში მოხვდებით, — აღნიშნა სეთურიძემ.

ამასთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ იმ პროექტებზეც გვესაუბრა, რომლებიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

— წლის ბოლომდე გრიგოლეთიდან ქობულეთამდე მონაკვეთის სამშენებლო ტენდერის შეფასება დასრულებული გვექნება. ასევე, წლის ბოლომდე რიკოთის პირველ სექციაზე — ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე ტენდერს გამოვაცხადებთ. წელსვე დასრულდება არგვეთას კვანძი, რომელიც დაახლოებით 13 მილიონიანი ობიექტია და მას ზესტაფონიდან გამომავალ გზას შევუერთებთ. ეს კვანძი რიკოთის მონაკვეთს მიუერთდება.

რაც შეეხება მომავალი წლის პროექტებს, გიორგი სეთურიძის განმარტებით, ხულო-ზარზმის მიმართულებაზე ინტენსიური სამუშაოები დაიწყება — „იმედი გვაქვს, ხულო-ზარზმის მიმართულების მშენებლობაზე სატენდერო პროცედურებს დავასრულებთ. უკვე მომავალი წლიდან ამ მონაკვეთზე ინტენსიური სამუშაოები დაიწყება.

# საქართველომ კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მე-2 პოზიცია დაიკავა



საქართველომ კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მეორე პოზიცია დაიკავა. ამის შესახებ ნაციონალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის(NCSI) კვლევის შემდეგ გახდა ცნობილი, რომელიც ევროკავშირის დაკვეთით 29 ქვეყანაში ჩატარდა.

აღნიშნული მაჩვენებლით ქვეყანა პირველ პოზიციას იკავებს აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის და უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და დანია.

ინდექსი სახელმწიფოების მიერ კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში გატარებულ ღონისძიებებს 12 მიმართულებით აფასებს; მოწმდება ქვეყნების მზადყოფნა მნიშვნელოვანი კიბერსაფრთხეებისა და შეტევების პრევენციისა თუ ფართომასშტაბიანი კიბერკრიზისების თავიდან აცილების საკითხში. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ის გამონაკლისი, რომელსაც არც ერთ თემატურ მიმართულებაში არ მიუღია ნულოვანი შეფასება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის ერთიან და კომპლექსურ მიდგომას კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

ინდექსის ფარგლებში შეფასდა ქვეყანაში შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების არსებობა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი უწყებების მუშაობის ეფექტურობა, მათ შორის, ინციდენტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფა, კიბერდანაშაულთან ბრძოლის მექანიზმის არსებობა, ელექტრონული მომსახურებების, ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ხელმოწერისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანიების წარმართვა და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე შედეგიანი საერთაშორისო თანამშრომლობა.

შეფასებული თემატური მიმართულებებიდან საქართველომ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა 5 მათგანში: კიბერუსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობა; ეროვნული დონის კიბერშეტევების ანალიზის შესაძლებლობა; ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის შესაძლებლობა; კრიტიკული ინფორმაციული სისტემებისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა; კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესაძლებლობა.

კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი შემუშავებულია ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერითა და საერთაშორისო მეთოდოლოგიების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველომ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების(ITU) კიბერუსაფრთხოების ინდექსში ევროპაში მე-2, ხოლო საერთაშორისო დონეზე მე-8 ადგილი დაიკავა.

# სწრაფი ჩარიცხვის ზოგიერთი აპარატი განახლებულ 5-ლარიანს არ იღებს




სწრაფი ჩარიცხვის ზოგიერთი აპარატი განახლებულ 5-ლარიანს არ იღებს. ამის შესახებ მოქალაქეები სოციალურ ქსელში წერენ.

„საქართველოს ბანკში“ აღნიშნულ ხარვეზს კუპიურის სიახლით ხსნიან და აღნიშნავენ, რომ შესაძლოა, ძალიან პრიალა ახალი კუპიურა სწრაფი ჩარიცხვის აპარატის სკანერმა ვერ აღიქვას და უკან დააბრუნოს, თუმცა აპარატებს პრობლემა არ აქვს. „თიბისი ფეის“ ცნობით კი ზოგიერთ სწრაფი ჩარიცხვის აპარატში ახალი პროგრამის ჩატვირთვა ვერ მოესწრო.

— საქართველოს მასშტაბით 3.400-ზე მეტი აპარატი გვაქვს და პროგრამა თითქმის ყველგან ჩატვირთულია. შესაბამისად განახლებულ 5-ლარიანსაც ყველა აპარატი იღებს. დარჩენილია მხოლოდ 30 აპარატი, სადაც ახლა მიმდინარეობს პროგრამის ჩატვირთვა და, სავარაუდოდ, სწორედ ამ აპარატებზეა საუბარი, — გვითხრეს „თიბისი ბანკში“.

# განცხადებები


### ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა — კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა — პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


## ტრამპი ფხენიანის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს



აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დიალოგს მოთმინებით გააგრძელებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებების იმედი აქვს, თან დაამატა, რომ არსებობს სხვა სცენარებიც და არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

— ჩრდილოეთ კორეა ძალიან ცუდად იქცევა! არ გამოვრიცხავ, რომ მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება მოგვიწიოს, — განაცხადა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეის პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტა იოლი არ იქნება.

— მიუხედავად ამისა, დარწმუნებულ ვარ, რომ ჩვენი არმია ამას შეძლებს, — თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტი სირიაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. მან თქვა, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ძირითადი ამოცანა ისლამური სახელმწიფოს ლიკვიდაციაა.

— ჩვენ ტერორისტებს საკადრისად ვუსწორდებით, — ამბობს ტრამპი.

## ავიგდორ ლიბერმანი: „ირანსა და სირიას შორის შიიტურ დერეფანს არ დავუშვებთ“





ისრაელი ყველაფერს გააკეთებს, რათა ირანსა და დამასკოს შორის შიიტური დერეფნის შექმნა არ დაუშვას.

ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადა.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თეირანსა და დამასკოს შორის შიიტური დერეფნის შექმნა არ დავუშვათ. ჩვენ მტკიცედ განწყობილნი ვართ, რომ ჩვენს მტრებს საშუალება არ მივცეთ, ზიანი მიაყენოს ისრაელის უსაფრთხოებას, — დაწერა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ავიგდორ ლიბერმანმა.

არაბული მედიის ინფორმაციით, ისრაელის საჰაერო ძალებმა სირიაში ქიმიური იარაღის საწარმოზე შეტევა მიიტანეს.

როგორც არაბული მედია აღნიშნავს, ისრაელის საჰაერო ძალებმა ასევე გაანადგურეს ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლასთვის“ კუთვნილი შეიარაღების კოლონა.

ისრაელის საჰაერო ძალების მთავარი სამიზნე სირიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო, სადაც რაკეტებისა და ქიმიური იარაღის განვითარება და წარმოება ხდება.

## გფბ-ს დირექტორი სპეცპროკურორ მიულერს ნდობას უცხადებს



ვაშინგტონში დაზვერვისა და ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემებისადმი მიძღვნილი სამიტი ჩატარდა.

მასზე სიტყვით გამოვიდა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) დირექტორი რეი. ის აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევისა და სპეცპროკურორ მიულერის საქმიანობას შეეხო.

— მე არ გამაჩნია იმის ფაქტები, რომ ვინმე მიულერის საქმეებში ერევა ან მასზე ზეწოლას ცდილობს, — თქვა რეიმ.

გფბ-ს დირექტორმა მიულერის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა.

— ის ნამდვილი პროფესიონალი, პატრიოტი და პატიოსანი კაცია! მე მას ვენდობი, — ამბობს რეი.

## „ირმამ“ კარიბის კუნძულებს გადაუარა



კარიბის კუნძულებს ქარბორბალა „ირმამ“ გადაუქროლა. მნიშვნელოვნად დაზარალდა ანტილიის კუნძულები, რომლებიც დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის, კუნძული ბარბუდა, აგრეთვე საფრანგეთის კუთვნილი სენ-ანტენისა და სენ-ბარტელიოს კუნძულები.

— დაიღუპა 23 ადამიანი, — აცხადებს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჟერარ კოლონი.

„ირმა“ ფლორიდას უახლოვდება. შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. სანაპიროსთან ახლოს მდებარე რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.

## მექსიკაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა



მექსიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე 8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ტრეს პიკოსიდან სამხრეთ-დასავლეთით, 119 კილომეტრში, 33 კილომეტრის სიღრმეში იყო. მიწისძვრა ადგილობრივი დროით 04.49 საათზე მოხდა.

რამდენიმე საათში განმეორებითი ბიძგები დაფიქსირდა, რომელთა სიმძლავრე 5,7 მაგნიტუდა იყო.

8 სექტემბრის მონაცემებით, 27 ადამიანია დაღუპული. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია 15 გარდაცვლილის შესახებ.

ქვეყნის პრეზიდენტ ენრიკე პენია ნიეტოს განცხადებით, ეს იყო ბოლო 100 წელიწადში ქვეყანაში მომხდარი ყველაზე ძლიერი მიწისძვრა.

სპეციალისტები ცუნამის წარმოქმნას არ გამორიცხავენ.

„წინასწარი პარამეტრების მიხედვით, მიწისძვრამ შეიძლება ძლიერი ცუნამი გამოიწვიოს“, — ნათქვამია ცუნამის შესახებ წყნარი ოკეანის ცენტრის ინფორმაციაში.

სეისმოლოგები ვარაუდობენ, რომ 1 მეტრამდე სიმაღლის ტალღები წყნარი ოკეანის მთელ რეგიონშია მოსალოდნელი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


### კალეიდოსკოპი

## ინდოელმა ქალებმა 2,5-მეტრიანი პითონი დაიჭირეს

ინდოეთის რაჯასტანის შტატის ქალაქ უდაიპურის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებმა ქალებმა დაიჭირეს და ორი საათის განმავლობაში ყარაულობდნენ 2,5 მეტრი სიგრძის პითონს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ერთ-ერთმა ქალმა ქვეწარმავალი მაშინ შენიშნა, როდესაც მინდორში მუშაობდა. მის ყვირილზე თანასოფლელმა ქალებმა მიირბინეს. მათ გადაწყვიტეს, რომ ცხოველი ალყაში მოექციათ, რათა მას სხვა მინდორში გადასვლა ვერ მოეხერხებინა. გარდა ამისა, ისინი თვალყურს ადევნებდნენ, რომ ვინმეს პითონისთვის ქვა არ ესროლა და არ დაეზიანებინა.

შვიდი ქალი ორი საათის განმავლობაში იდგა გველის გარშემო, სანამ ადგილზე ერთ-ერთის ნათესავი არ მივიდა. მან გარეულ ცხოველებთან მუშაობის სპეციალისტი გამოიძახა. ადგილზე მისულმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ქვეწარმავალი ვეფხვისებური პითონი იყო. როდესაც გაირკვა, რომ გველი შხამიანი არ იყო, ქალებმა თავად დაიჭირეს და მასთან სურათები გადაიღეს.

## სახლში დაბრუნებულ ამერიკელს სასტუმრო ოთახში ალიგატორი დახვდა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის გარეუბნის მცხოვრებმა ბრაიან ფოსტერმა, ქარიშხალ „ჰარვის“ შემდეგ საკუთარ სახლში დაბრუნების შემდეგ სასტუმრო ოთახში სამი მეტრი სიგრძის ალიგატორი აღმოაჩინა.



მამაკაცმა პოლიციას მიმართა. ადგილზე მისულმა შერიფის თანაშემწეებმა რეპტილიის ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნეს. ბუნების დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლებმა მტაცებელი რეპტილია სახლიდან წაიყვანეს და მის ბუნებრივ საბინადრო გარემოში გაუშვეს.

ალიგატორების დაჭერის სპეციალისტის კრის სტივენსის თქმით, ეს ერთადერთი რეპტილია არ ყოფილა, რომელმაც სტიქიის დროს თავი ადამიანის სახლს შეაფარა.

— სტიქიის შემდეგ საკუთარ სახლში დაბრუნებულმა მრავალმა ადამიანმა იქ ალიგატორები აღმოაჩინა, — განაცხადა სტივენსმა, — ისინი აგრესიულობით არ გამოირჩევიან, ვინაიდან თავადაც საკუთარი საბინადრო ადგილებიდან ლტოლვილებად იქცნენ.

## დნმ-ის ტესტმა დაადასტურა, რომ სალვადორ დალის ქალიშვილი არ ჰყოლია





ესპანელი ნათელმხილველი პილარ აბელ მარტინესი ლეგენდარული მხატვრის სალვადორ დალის ქალიშვილი არ არის. ეს დნმ-ს ტესტმა დაადასტურა, რომელიც მხატვრის სხეულის ექსჰუმაციის შემდეგ იქნა ჩატარებული.

პილარ აბელ მარტინესი, რომელიც 1956 წელსაა დაბადებული, 2015 წლიდან ცდილობდა სასამართლოში დაემტკიცებინა, რომ მხატვრის ქალიშვილია. ის ამტკიცებდა, რომ 1955 წელს დედამისსა და მხატვარს რომანი ჰქონდათ. მან მხატვრის სხეულის ექსჰუმაციას მიაღწია, რათა დნმ-ს ანალიზის წყალობით მისი მამობა დაემტკიცებინა. საბოლოოდ, დნმ-ს ტესტის შედეგების თანახმად, მას და სალვადორ დალის ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. ამის თაობაზე განცხადება სალვადორ დალის ფონდში გაკეთდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საბავშვო ევროვიზიაზე გრიგოლ ყიფშიძე წარგვადგენს

საბავშვო ევროვიზია 2017-ზე საქართველოს მუსიკალური პროექტის „იქს ფაქტორის“ ფინალისტი და ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე გრიგოლ ყიფშიძე წარადგენს. საბავშვო ევროვიზია წელს პირველად საქართველოში – თბილისში გაიმართება.

გრიგოლ ყიფშიძის კანდიდატურა ჟიურიმ მას შემდეგ შეარჩია, რაც ყველა კონკურსანტს მოუსმინა. მონაწილეებმა საკუთარი რეპერტუარიდან თითო სიმღერა შეასრულეს. კონკურსანტების ღია მოსმენა პირველი არხის პავილიონში გაიმართა. ჟიურის შემადგენლობაში მიწვეული იყვნენ პროდიუსერი ზაზა შენგელია, მომღერალი მაია ბარათაშვილი, მუსიკოსი დავით ევგენიძე, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მუსიკალური რედაქტორი ელისო შენგელია და ხმის რეჟისორი გიორგი ასანიშვილი.



შერჩეული კონკურსანტისთვის სპეციალურად ახალი სიმღერა დაიწერება, რომლის კომპოზიტორიც ასევე, კონკურსის მეშვეობით შეირჩევა.

საბავშვო ევროვიზია 2017-ის დამდგმელი რეჟისორი გორდონ ბონელო იქნება. ბონელო უკვე 4 წელია თანამშრომლობს ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და 2014 წლიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საბავშვო ევროკონკურსის მასშტაბურ შოუს დგამს.

რამდენიმე დღეში ცნობილი გახდება შოუს წამყვანების ვინაობაც. კასტინგი გორდონ ბონელომ პროექტის საპროდიუსერო ჯგუფთან ერთად ჩაატარა.

საბავშვო ევროვიზია 2017 საქართველოში 26 ნოემბერს ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდება. გასულ წელს მალტაში გამარჯვება ქართველმა კონკურსანტმა მარიამ მამადაშვილმა მოიპოვა სიმღერით „მზეო“. საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენლების რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ევროპის მაუწყებელთა კავშირმა გადაწყვიტა, წლევანდელი კონკურსი საქართველოში ჩაეტარებინა.

# ელტონ ჯონის კონცერტები მომავალ წელს გაიმართება



16 და 17 სექტემბერს ბლექ სი არენაზე დაგეგმილი ელტონ ჯონისა და მისი ბენდის კონცერტები მომავალ წელს გაიმართება.

კონცერტების გადადების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გაჩნდა, თუმცა მაშინ ორგანიზატორები კონცერტების გადადებას მხოლოდ რამდენიმე კვირით აანონსებდნენ. ახლა კი ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ ელტონ ჯონი და მისი ბენდი საქართველოში წელს აღარ ჩამოვა.

ლეგენდარული ბრიტანელი მომღერალი საქართველოს 2018 წლის 30 ივნისსა და პირველ ივლისს ეწვევა. შესაბამის ხელშეკრულებაზე მხარეებმა ხელი უკვე მოაწერეს. ბლექ სი არენაზე დაგეგმილი ეს ორი კონცერტი იქნება ერთადერთი, რომლებსაც ელტონ ჯონი მომავალ წელს ევროპაში ჩაატარებს.

საქართველოში დაგეგმილი კონცერტების თარიღების ცვლილების მიზეზი ელტონ ჯონის ბენდის გიტარისტ დეივი ჯონსთოუნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა გახდა. დეივი ჯონსთოუნი ელტონ ჯონის ბენდში 1972 წლიდან უკრავს, ჯგუფის შეუცვლელი წევრი და მუსიკალური დირექტორია.

როგორც კონცერტის ორგანიზატორები აცხადებენ, ელტონ ჯონი, მისი ბენდი და ბენდის მენეჯმენტი გულწრფელად წუხან მომხდარის გამო და ბოდიშს უხდიან ქართველ მსმენელს. აღნიშნულთან დაკავშირებით ელტონ ჯონის წარმომადგენელმა ოფიციალური პრესრელიზიც გაავრცელა.

16 და 17 სექტემბრის კონცერტების ბილეთების მფლობელებს 30 ივნისისა და პირველი ივლისის კონცერტებზე დასწრება ამავე ბილეთებით შეუძლიათ, 16 სექტემბრის ბილეთები გადადის 30 ივნისის, ხოლო 17 სექტემბრის ბილეთები პირველი ივლისის კონცერტზე. სურვილის შემთხვევაში, 2017 წლის 20 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე მომხმარებლებს შეუძლიათ დააბრუნონ ბილეთები და მიიღონ ბილეთების ღირებულების თანხა. ამასთან, ბილეთების გაყიდვა განახლებული თარიღებით 20 სექტემბრიდან დაიწყება.

# ვარშავის უნივერსიტეტმა გრიგოლ ფერაძის პრემია ქართველ მეცნიერს მიანიჭა



ვარშავის უნივერსიტეტმა წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის ლაურეატი დაასახელა.

პრემია წელს ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს, წმიდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, რამდენიმე სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორს, წმიდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების დამფუძნებელსა და ბაკურციხეში წმიდა გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის დაარსების ინიციატორს ილია ფერაძეს მიენიჭა.

ქართველი წმინდანის სახელობის პრემია 2010 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ჟურნალ „პრო გეორგიას“ ინიციატივით დაფუძნდა და მას ორგანიზატორები ორ წელიწადში ერთხელ გასცემენ.

წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია X საუკუნის უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშია, მარტვილის პანაღიის ასლი, რომელზეც წმინდა გრიგოლის ხატია გამოსახული.

ვარშავის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული პრემია ილია ფერაძეს ბაკურციხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში 10 სექტემბერს გადაეცემა.

# ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს სიონიდან მთაწმინდამდე სახალხო მსვლელობა მოეწყობა

12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, სიონის ტაძრიდან მთაწმინდის პანთეონამდე სახალხო მსვლელობა გაიმართება.

ამ დღეს უკვე მეოთხე წელია ხორციელდება პროექტი „...დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“. ყოველი წლის 12 სექტემბერს ჩატარებული ღონისძიება ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს. მისი აღნიშვნა 2014 წლიდან დაიწყო საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივის“ ინიციატივითა და ორგანიზებით.

პროექტის ფორმატი ყოველ წელს განსხვავებულია, უცვლელი ნაწილია მხოლოდ საჯარო მსვლელობა სიონის ტაძრიდან მთაწმინდის პანთეონამდე, იმ გზაზე, რა გზითაც 1907 წელს უკანასკნელ გზაზე გააცილა ილიას ცხედარი. ეს სიმბოლური ჟესტი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დამკვიდრებას ემსახურება და მუდმივ ხსოვნას იმ პიროვნებისადმი, რომელმაც საკუთარ ინტერესებს ქვეყნის ინტერესები ანაცვალა და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეში გამორჩეული წვლილი შეიტანა.

წელს ღონისძიება 13 საათზე სიონის ტაძრის ეზოში დაიწყება და შედგება პროექტის ოფიციალური გახსნა. საზოგადოებრივი და სალიტერატურო სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა საზოგადოებასთან. მოგვიანებით დაიწყება მსვლელობა სიონის ტაძრიდან და პროცესია ფეხით გაემართება მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისაკენ. მთაწმინდის პანთეონში წარმოდგენილი იქნება ლიტერატურული კომპოზიცია ქართული თეატრის სხვადასხვა თაობის მსახიობების შესრულებით. მოგვიანებით ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გაიხსნება გამოფენა „ილია ხელოვნებაში“, სადაც წარმოდგენილი იქნება სახვითი ხელოვნების არტისტების მიერ შექმნილი უახლესი სკულპტურები, ფიგურატიული ქანდაკებები, ფერწერა და ხატწერის ნიმუშები. დღის ბოლოს საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ღია სცენაზე წარმოდგენილი იქნება ახალი დრამატურგიული ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ „საუკუნის მკვლელობა“, რომლის რეჟისორიც გიორგი სავანელია.




ღონისძიების ყველა ეტაპზე მსურველთათვის დასწრება თავისუფალია. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტის მიზანია საზოგადოებაში ეტაპობრივად ილია ჭავჭავაძის ფიგურის მეტი პოპულარიზაცია, მისი დანატოვარის პოლიტკონიუნქტურის გარეშე გადააზრების ხელშეწყობა და ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლების სტიმულირება.

# ინტელექტუალური თამაშების კლუბში ახალი სეზონი დავით ჭოჭუას მემორიალით გაიხსნება



ინტელექტუალური თამაშების კლუბში „რა? სად? როდის?“ ახალი სეზონი ტრადიციული ტურნირით, მოაზროვნე დავით ჭოჭუას მემორიალით გაიხსნება.

ინფორმაცია ამის თაობაზე ბატონმა წამყვანმა გიორგი მოსიძემ გაავრცელა:

– კლუბში რა? სად? როდის? 2017/18 წლების სეზონი გაიხსნება ტრადიციული ტურნირით: ჩვენი მეგობრისა და უძლიერესი მოაზროვნის დავით ჭოჭუას მემორიალით. კითხვების რაოდენობაა 36, კითხვების ავტორი-რედაქტორი-წამყვანი ლევან ჩხეიძე, შესატანი გუნდიდან 42 ლარი. ტურნირის მთელი შემოსავალი გადაეცემა დავით ჭოჭუას ოჯახს. რეგისტრაციის დედლაინია 11 სექტემბერი. იჩქარეთ! გუნდების რაოდენობა შეზღუდულია. 40-ზე მეტი გუნდის დარეგისტრირების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სუპერლიგის გუნდებს, ხოლო შემდეგ უფრო ადრე დარეგისტრირებულ გუნდებს.

მოაზროვნე დავით ჭოჭუა რამდენიმე წლის წინ 33 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

# ზაზა ორაშვილი ბორჯომის მუნიციპალიტეტს აკრიტიკებს



რეჟისორი ზაზა ორაშვილი ბორჯომის მუნიციპალიტეტს აკრიტიკებს და პარკის შესასვლელთან არსებულ ვითარებაზე წუხს.

**ზაზა ორაშვილი:**

– ბორჯომში მქონდა გადაღება. აღმაშფოთებელია, რაც პარკის შესასვლელთან ხდება! მოგვეხსენებათ, ეს ყველაზე ხალხმრავალი და ტურისტებით დახუნძლული ადგილია და ნამდვილად სამარცხვინოა, რომ ეს ტერიტორია ბაზრობად და უგემოვნო დახლების ხროვად არის გადაქცეული. თუ მოსახლეებს კულტურა და ნამუსი არ ჰყოფნით, შესაბამის ორგანოებმა უნდა იზრუნონ, საკურორტო ზონა რომ სათანადოდ გამოიყურებოდეს! ფინანსური სახსრები არაა ამისთვის საჭირო, მხოლოდ ნება. ნეგატიური შთაბეჭდილების ბოლო წვეთი ეკატერინეს წყაროზე მომუშავე ქალის მიერ მოწოდებული პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა იყო, მრავალჯერ ნახმარი, ხელიდან ხელში გადასული ჭუჭყიანი ერთჯერადი ჭიქა!

# ყინწვისს თავზე უშველებელ რუსული სილუეტის მრავალგუმბათიან კომპლექსს ადგამენ



ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ყინწვისში მონასტრის გარშემო მიმდინარე მშენებლობას გმობს და რეაგირებას ითხოვს:

– ვიყავი ყინწვისში, გაჩაღებულია მშენებლობა მონასტრის გარშემო, ისე, რომ წმიდა ნიკოლოზის ულამაზეს ეკლესიას თავზე ადგამენ უშველებელ, საეჭვო ღირებულების, რუსული სილუეტის მრავალგუმბათიან კომპლექსს, აგრესიულსა და უსაშველოდ დიდს. ძველი მონასტრის ეზოში ხომ ახალი, ტორტივით გაფორმებული შეუსაბამო ტაძარია ჩაკვეხებული. სადაა მოწიწება, სადაა წინაპართა პატივისცემა, სადაა სილამაზის დანახვის უნარი. სიბრმავე და თვითნებობა მეფობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### კანადელმა დაგროვილი სელფებისგან ქორწილისთვის ვიდეორგოლი შექმნა



კანადის ქალაქ მონრეალის მცხოვრებმა უგო კორნელიემ თავისი ქორწილისთვის სელფებისგან, რომელსაც ის ცხრა წლის განმავლობაში ყოველ დღე იღებდა, ვიდეო დაამონტაჟა. ვიდეორგოლი იუთუბიზე გამოქვეყნდა.

კანადელმა საკუთარი თავის გადაღება 2008 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ის 12 წლის იყო. ბოლო სურათი 2017 წლის აგვისტოში მის ქორწილზეა გადაღებული. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი კადრია, რომელშიც კორნელიე იღიმება.

ცხრა წლის განმავლობაში კანადელს 2,5 ათასზე მეტი ფოტოსურათი დაუგროვდა. მათგან დამონტაჟებული ვიდეორგოლი, რომლის ხანგრძლივობა ორწუთ-ნახევარს შეადგენს, 600 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

### კეტი ჰოლმსი და ჯეიმი ფოქსი ურთიერთობას აღარ მალავენ



მსახიობები კეტი ჰოლმსი და ჯეიმი ფოქსი საზოგადოების წინაშე პირველად წარდგნენ ხელიხელჩაკიდებულნი. მათ სურათები მალიბუს პლაჟზე სეირნობის დროს გადაუღეს.

ჰოლივუდის ვარსკვლავები უკვე ოთხი წელია, ერთმანეთს ხვდებიან. სავარაუდოდ, მათ შორის რომანტიკული ურთიერთობა 2013 წელს დაიწყო, კეტი ჰოლმსის ტომ კრუზთან განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა აქამდე ისინი საზოგადოებაში ერთად არ ჩნდებოდნენ და მათი რომანის თაობაზე გავრცელებულ ხმებს კატეგორიულად უარყოფდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა პორტალმა 2016 წელს გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ტომ კრუზის მიერ წაყენებული პირობის თანახმად და რომელიც განქორწინების პირობას წარმოადგენდა, კეტი ჰოლმსს არ ჰქონდა უფლება, სხვა მამაკაცთან ჰქონოდა ურთიერთობა, ვიდრე მათი განქორწინებიდან ხუთი წელი არ გავიდოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ეპიცენტრი მანჩესტერშია — ლივერპული ქალაქელებს ესტუმრება

## სტატისტიკა, ფსონები

თანდათან ხურდება ჩემპიონატები ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში. ამ უქმეებზეც საინტერესო მატჩებია, მაგრამ გამოსარჩევი ინგლისის პრემიერლიგაში სიტი-ლივერპულია.

ასევე საინტერესო იქნება ლაციო-მილანი, ჰოფენჰაიმი-ბაიერნი, ნიცა-მონაკო...

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.09 სიტი-ლივერპული | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 09.09 ევერტონი-ტოტენჰემი | 3.5 | 3.4 | 2.1 |
| 09.09 ლესტერი-ჩელსი | 4.33 | 3.6 | 1.8 |
| 09.09 ბრაიტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 09.09 საუთჰემპტონი-უოტფორდი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 09.09 არსენალი-ბორნმუთი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 09.09 სტოკი-მანჩესტერი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 10.09 ბარნლი-კრ.პალასი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 10.09 სუონსი-ნიუკასლი | 2.37 | 3.2 | 3.2 |
| 11.09 ვესტ ჰემი-ჰადერსფილდი | 1.83 | 3.5 | 4.4 |

**სიტი-ლივერპული**

სიტი: ***ტრავმ***-ილქაი გუნდოგანი

ლივერპული: ***ტრავმ***-ნათან კლაინი, ადამ ლალანა

**ევერტონი-ტოტენჰემი**

ევერტონი: ***ტრავმ***-დეივ კლაასენი, სიმუს კულემანი, იანიკ ბოლასიე

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ერიკ ლამელა, დენი როუზი

**ლესტერი-ჩელსი**

ლესტერი: ***ტრავმ***-რობერტ ჰანტი

ჩელსი: ***ტრავმ***-ედენ აზარი

**ბრაიტონი-ვესტ ბრომვიჩი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ისაია ბრაუნი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯონი ევანსი

**საუთჰემპტონი-უოტფორდი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-რობერტო პერეირა, დარილ იაანმაატი, იუნის კაბული

**არსენალი-ბორნმუთი**

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სიმონ ფრანსისი

**სტოკი-მანჩესტერი**

სტოკი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ აფელაი, სტივენ აირლანდი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ეშლი იანგი, ლუკ შოუ, მარკოს როხო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**ბარნლი-კრ.პალასი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტოპკინსი, ვილფრედ ზაჰა, რუბენ ლოფტუს-ჩეკი, პაპე სუარე

**სუონსი-ნიუკასლი**

სუონსი: ***ტრავმ***-ლეონ ბრაიტონი, კილი ბარტლი, ნათან დაიერი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამეტი

**ვესტ ჰემი-ჰადერსფილდი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ჯონათან ჰოგი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-0 | 9 |
| 2.ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| 3.ჰადერსფილდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4.სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 5.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 6.ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 7.უოტფორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8.საუთჰემპტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 10.ბარნლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11.სტოკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 13.სუონსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 14.ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 15.ლესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 16.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 17.ბრაიტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 18.ბორნმუთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.09 რეალი-ლევანტე | 1.07 | 12.0 | 23.0 |
| 09.09 ვალენსია-ატლეტიკო | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 09.09 სევილია-ეიბარი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 09.09 ბარსელონა-ესპანიოლი | 1.17 | 7.5 | 15.0 |
| 10.09 დეპორტივო-სოსიედადი | 2.87 | 3.3 | 2.45 |
| 10.09 ბილბაო-ხირონა | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 10.09 სელტა-ალავესი | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 10.09 ვილიარეალი-ბეტისი | 1.85 | 3.6 | 4.2 |
| 11.09 მალაგა-ლას პალმასი | 1.95 | 3.6 | 3.75 |

**რეალი-ლევანტე**

რეალი: ***ტრავმ***-რაფაელ ვარანი; ***დისკვ***-კრიშტიანუ რონალდუ

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

**ვალენსია-ატლეტიკო**

ვალენსია: ***ტრავმ***-ეზეკიელ გარაი, ლუიშ ნანი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ნიკოლას გაიტანი

**სევილია-ეიბარი**

სევილია: ***ტრავმ***-სტივენ ნზონზი, დავიდ სორია

ეიბარი: ***ტრავმ***-ფრან რიკო, პედრო ლეონი, ანაიტც არბილია

**ბარსელონა-ესპანიოლი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ანდრე გომეში, ლუის სუარესი, რაფინია

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ოსკარ დუარტე, დიეგო ლოპესი

**დეპორტივო-სოსიედადი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი

**ბილბაო-ხირონა**

ბილბაო: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

**სელტა-ალავესი**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

ალავესი: ***ტრავმ***-ჰექტორი

**ვილიარეალი-ბეტისი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანდრეს ფერნანდესი

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

**მალაგა-ლას პალმასი**

მალაგა: ***ტრავმ***-მიგელ ტორესი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ვიტოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ლეგანესი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 5.რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 6.ხირონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ლევანტე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 11.ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 12.ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13.ესპანიოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ხეტაფე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15.დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 16.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 19.ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |



### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.09 ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 09.09 ფრაიბურგი-დორტმუნდი | 6.5 | 4.75 | 1.44 |
| 09.09 მაინცი-ლევერკუზენი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 09.09 გლადბახი-აინტრახტი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 09.09 აუგსბურგი-კიოლნი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 09.09 ჰოფენჰაიმი-ბაიერნი | 7.0 | 4.5 | 1.44 |
| 10.09 ჰერტა-ვერდერი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 10.09 შალკე-შტუტგარტი | 1.75 | 3.75 | 4.5 |

**ვოლფსბურგი-ჰანოვერი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ვიერინია

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სამუელ რედლინგერი

**ფრაიბურგი-დორტმუნდი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჯორჯ ნიდერმაიერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-რაფაელ გუერერო, ერიკ დარმი, მარკო როისი, ანდრეა შურლე

**მაინცი-ლევერკუზენი**

მაინცი: ***ტრავმ***-მარინ სვერკო

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ატაკან აკაინაკი, ტინ იედვაი

**გლადბახი-აინტრახტი**

გლადბახი: ***ტრავმ***-რაულ ბობადილა, ბა-მუაკა სიმალაკა, იოსიპ დრმიჩი

აინტრახტი: ***ტრავმ***-კარლოს სალსედო

**აუგსბურგი-კიოლნი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-კაიბუ

კიოლნი: ***ტრავმ***-კონსტატინ რაუხი

**ჰოფენჰაიმი-ბაიერნი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხამეს როდრიგესი, ხუან ბერნატი, დავიდ ალაბა, ჟერომ ბოატენგი

**ჰერტა-ვერდერი**

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

ვერდერი: ***ტრავმ***-იზეტ ჰაიროვიჩი

**შალკე-შტუტგარტი**

შალკე: ***ტრავმ***-სიდნეი სამი, კოკე

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ემილიანო ინსუა, ანტო გრგიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3.ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.ჰანოვერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 5.გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ლაიპციგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10.შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 11.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 12.აუგსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.ლევერკუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 15.ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.მაინცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 17.კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 18.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.09 იუვენტუსი-კიევო | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 09.09 სამპდორია-რომა | 3.8 | 4.0 | 1.85 |
| 10.09 ინტერი-სპალი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 10.09 ლაციო-მილანი | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 10.09 კალიარი-კროტონე | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 10.09 უდინეზე-ჯენოა | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 10.09 ვერონა-ფიორენტინა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 10.09 ატალანტა-სასუოლო | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 10.09 ბენევენტო-ტორინო | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 10.09 ბოლონია-ნაპოლი | 9.0 | 4.8 | 1.35 |

**იუვენტუსი-კიევო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, მარკო პიაცა, კვადვო ასამოა

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლა ფრეი

**სამპდორია-რომა**

სამპდორია: ***ტრავმ***-ემილიანო ვივიანო, დოდო

რომა: ***ტრავმ***-ბრუნო პერესი, ემერსონი

**ინტერი-სპალი**

ინტერი: ***ტრავმ***-დავიდე სანტონი

სპალი: ***ტრავმ***-მარიოს ოიკონომოუ

**ლაციო-მილანი**

ლაციო: ***ტრავმ***-ფელიპე ანდერსონი

მილანი: ***ტრავმ***-ლუკას ბილია, ჯაკომო ბონავენტურა, რიკარდო მონტოლივო

**კალიარი-კროტონე**

კალიარი: ***ტრავმ***-რაფაელი

კროტონე: ***ტრავმ***-ალეკსანდარ ტონევი, მანუელ ნიკოლეტი

**უდინეზე-ჯენოა**

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა რიგონი

**ვერონა-ფიორენტინა**

ვერონა: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-რიკარდო საპორანა, ანტე რებიჩი

**ატალანტა-სასუოლო**

ატალანტა: ***ტრავმ***-არავინ

სასუოლო: ***ტრავმ***-ალესანდრო მარტი

**ბენევენტო-ტორინო**

ბენევენტო: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-მაქსი ლოპესი

**ბოლონია-ნაპოლი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ერიკ პულგარი, ორი ოკვონკვო

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლეანდრინიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 5.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6.ტორინო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 7.სპალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 13.ვერონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 14.კროტონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 15.სასუოლო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 16.უდინეზე | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.ბენევენტო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19.ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19.კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 20.ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.09 ნიცა-მონაკო | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 09.09 მონპელიე-ნანტი | 2.0 | 3.2 | 3.6 |
| 09.09 ტრუა-ტულუზა | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 09.09 სტრასბური-ამიენი | 1.91 | 3.1 | 3.75 |
| 09.09 კაენი-დიჟონი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 10.09 სტ.ეტიენი-ანჟე | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 10.09 ლიონი-გენგამი | 1.4 | 4.5 | 6.5 |
| 10.09 მარსელი-რენი | 1.65 | 4.0 | 5.0 |

**ნიცა-მონაკო**

ნიცა: ***ტრავმ***-მიშელ ლე ბიანი

მონაკო: ***ტრავმ***-არავინ

**მონპელიე-ნანტი**

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

ნანტი: ***ტრავმ***-ჩიდოზიე ავაზეიმი, ლუკაშ ალვეშ დე ლიმა, ვალენტინ რონიე

**ტრუა-ტულუზა**

ტრუა: ***ტრავმ***-მორი კონე

ტულუზა: ***ტრავმ***-სტივ იაგო, იაია სანოგო

**სტრასბური-ამიენი**

სტრასბური: ***ტრავმ***-არავინ

ამიენი: ***ტრავმ***-ჯესომა ფოფანა

**კაენი-დიჟონი**

კაენი: ***ტრავმ***-ერვე ბაზილე, ვინსენტ ბესა

დიჟონი: ***ტრავმ***-ვესლი ლაუტოა

**სტ.ეტიენი-ანჟე**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფლორენტინ პოგბა

ანჟე: ***ტრავმ***-ბილი კეტკეოპომპონე

**ლიონი-გენგამი**

ლიონი: ***ტრავმ***-ფერნანდო მარცალი, სერჟ დარდერი

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

**მარსელი-რენი**

მარსელი: ***ტრავმ***-კლინტონ მუანჯიე, ლუკას ოკამპოსი, ადილ რამი, დიმიტრი პაიე

რენი: ***ტრავმ***-აბდუალიე დიალო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| 2.მონაკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 3.სტ.ეტიენი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 4.ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 5.ბორდო | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 6.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 7.ანჟე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 8.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-2 | 6 |
| 9.გენგამი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 10.ტულუზა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-11 | 6 |
| 11.ტრუა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 12.მონპელიე | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 13.ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.სტრასბური | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 15.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| 16.დიჟონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| 17.ნიცა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 18.ამიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 19.რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-8 | 2 |
| 20.მეცი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

# მანუჩარ მაჩაიძე: „სამწუხაროდ, წარმატებები წარსულში დარჩა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უფრო კომპიუტერთან. საერთოდ, ძალიან მიყვარს ჭადრაკი, ვქომაგობ ქართველ მოჭადრაკეებს, ძველებიდან კი – საბჭოთა და უცხოელ ჩემპიონებს. ძალიან მიყვარს ფიშერის, ტალის, სპასკის თამაში. ასე მგონია, რომ ძველი ჭადრაკი – კომბინაციური, რომანტიკული, შემოქმედებითი, უკვე მოკვდა. ახლა სხვა ჭადრაკია და მას უნდა შეეჩვიო.

***– მოჭადრაკეებიდან ვისთან კონტაქტობთ?***

– ახლო ურთიერთობა მქონდა პეტროსიანთან, ტალთან, ვურთიერთობდი სპასკისთან. ვიცნობ კარპოვს, კასპაროვს, ცხადია, ჩვენს, ქართველ მოჭადრაკეებს – გია გიორგაძეს, ზურაბ აზმაიფარაშვილს. ნონა გაფრინდაშვილი ჩემი მეგობარია, ასევე ვმეგობრობ ჩვენს დიდ მოჭადრაკეებთან: ნანა ალექსანდრიასთან, ნანა იოსელიანთან, ნინო გურიელთან... ასე რომ, მოჭადრაკეებში „თავისიანად“ მთვლიან.

***– საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები მსოფლიო ასპარეზზე მუდამ მაღალ შედეგს აჩვენებს. რომელი უფრო პოპულარულია თქვენს ქვეყანაში: ფეხბურთი თუ ჭადრაკი?***

– სპორტის ორივე სახეობა პოპულარულია, თუმცა ფეხბურთში აღარ გვაქვს უკვე ძველი შედეგები.

***– ვარსკვლავები არიან?***

– სამწუხაროდ, არა. მაგრამ ჭადრაკში გვყავს ძალიან ძლიერი მოთამაშეები, ამიტომ სპორტის ეს სახეობა უფრო ინარჩუნებს პოზიციებს, რასაც ვერ ვიტყვით ფეხბურთზე.

***– რამდენადაც ვიცი, საქართველოში აქტიურად ვითარდება რაგბი.***

– უკანასკნელ პერიოდში – კი. სპორტსმენებს წარმატებები აქვთ და ახალგაზრდობის უმრავლესობა რაგბიში მიდის.

***– თბილისის დინამოს გარდა, რომელ კლუბს ქომაგობთ?***

– რასაკვირველია, პირველ რიგში, თბილისის დინამოს. უცხოური გუნდებიდან – ბარსელონასა და რეალს. სხვათა შორის, მადრიდული კლუბის წინააღმდეგ ნათამაშები მაქვს. თბილისის დინამოს თავის დროზე დამარცხებული ჰყავს ინტერი, ლივერპული, ბენფიკა, კიევის დინამო და ბოკა ხუნიორსი კონტინენტურ თასზე. იყო დრო, დინამო ასეთ გრანდებთან თამაშის დროს დიდ შედეგებს აღწევდა. თავის დროზე უძლიერესი არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ მაქვს ნათამაშები 1978 წელს. ჩვენ პატიოსნად გავიტანეთ გოლი, მაგრამ არგენტინელმა მსაჯმა არ ჩაგვითვალა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ბრაზილიაში პელეს სახელობის სტადიონზე თავით გავიტანე გოლი.

ბევრი სასიამოვნო რამ მაქვს გასახსენებელი. სამწუხაროდ, ის წარმატებები წარსულში დარჩა. ამჟამად, საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ხვდება. ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი შეიცვლება, თუმცა, ამისთვის დიდი ფინანსებია საჭიროა. ხედავთ ახლა, როგორი აჟიოტაჟია ფეხბურთელების გარშემო? თავის დროზე ასე არ იყო. თვით პელესაც კი არ აძლევდნენ მილიონს, წარმოგიდგენიათ? ახლა კი ნეიმარისთვის 222 მილიონს იხდიან.

***– საერთოდ ნეიმართან დაკავშირებულმა ისტორიამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ბევრი კრიტიკა გაისმა ფეხბურთელის მისამართით. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად ეთიკური იყო მისი ბარსელონიდან პსჟ-ში გადასვლა, თუ გავითვალისწინებთ სამეულის მესი-სუარესი-ნეიმარის ერთობას?***

– ჩემი აზრით, ნორმალურია. ახლანდელი ფეხბურთი შოუა და, ვინც ფულს ფეხბურთში დებს, ნამდვილად არ ზარალდება. ნეიმარს აქებდნენ, თვლიდნენ კარგ მოთამაშედ, მაგრამ ის არ იყო იმ სიმაღლეზე, როგორიც სურდა. ალბათ, მისმა ახლო წრემ სწორად ურჩია მესისგან განცალკევება.

***– მით უმეტეს იმ დროს, როდესაც პსჟ-დან წავიდა იბრაჰიმოვიჩი და კლუბს აღარ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი.***

– დიახ, ეგრეა. ამიტომ, ვთვლი, რომ მისი გადაწყვეტილება სწორია.

***– და კიდევ ცნობილი ისტორია კოუტინიოსთან დაკავშირებით, რომელსაც, პირიქით, ბარსელონაში თამაში უნდოდა და ლივერპულმა ვერ გაიმეტა.***

– დიახ, მას კიდევ ერთი წელი არ შეუძლია გუნდის დატოვება. კოუტინიო შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ პირადად მე არ მესმის, თუ რა პოზიციაზე უნდა დააყენონ ის ბარსელონაში. კოუტინიო შემტევი ნახევარმცველია და არა თავდამსხმელი ან მხოლოდ ნახევარმცველი.

***– მაგრამ, მას ხომ ბლომად გოლები გააქვს.***

– არც ისე ბევრი.

***– თქვენ ვის თვლით ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოდ?***

– ყველა აღიარებს, რომ რონალდუ და მესი 2 უდიდესი ფეხბურთელია. ორივე მათგანი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## ორშაბათი 11 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.10 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "გამარჯვებული ვიქტორია" 10.00, 03.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 12.30 ევრობასკეტ- 2017 13.00, 04.10 დღის მხ/ფ "მგლის რუქი" 15.00 დოკ/ფ "რა არის ამერიკის ქვეშ" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 22.00 ტ/სერ. "მთავრობა" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.20 მხ/ფ "ტურისტი" (ა.ჯოლი) 01.00 მხ/ფ "მაიამის პოლიცია" (ჯ.ფოქსი)

06.30 სერ. "ღირსების სახელით" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 10.10 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 იმედის დღე 14.40 სერ. "ელიფი" 16.00 სერ. "ოჯახური პორტრეტი" 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.50, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ძმა" 22.30 სერ. "ელ პრინსიპე" 00.00 მხ/ფ "სასიკვდილო დარტყმა" 01.30 მხ/ფ "ელიტარული საზოგადოება" 03.15 მხ/ფ "რისკი პარი შუბლა სალის" 04.45 მხ/ფ "ვაილის თავგადასავალი: შორის გზიდი"

05.00 სერ. "კაცი" დასკვნითი 06.00, 18.50 სერ. "დესპოტი ქმარი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 16.55სერ. "უსასრულო მოლოდინი" 20.03 სერ. "დედამთილი" 22.00 მხ/ფ "რომანტიკოსი და 9 პარასკევა" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები" 09.00, 19.00 სერ. "ცისფერი სისხლი" 11.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 13.00 სერ. "ძვლები-5" 17.00 სერ. "სიმართლის ანატომია 3" 21.00 სერ. "სპირალი" 22.30 მხ/ფ "სახის გარეშე" 01.00 მხ/ფ "შავი მოჯადოება" 03.00 მხ/ფ "უტეხი" 04.55 მხ/ფ "ნიმფომანი"

